გაზეთი ზევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№15 (1656) 3 – 9 მაისი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

## საზარელი დანაშაული კახეთში – შვილიშვილმა 77 წლის ბებია გააუპატიურა



უნდა ისჯებოდნენ თუ არა მოძალადეები უვადო პატიმრობით

# ვახტანგ ძაბირაძე: „30 აპრილის აქცია ჩვეულებრივი, ანტიდასავლური აქცია იყო!“




რატომ არ მივიდნენ ახალგაზრდები „უცნობისა“ და ზაზა პაპუაშვილის ორგანიზებულ მიტინგზე




## აჭარის რევოლუციიდან გენერლის მკვლელობამდე



სისხლიანი რებუსი – პოლიტიკური გიორგობის X-ფაილი

## რა ქონებას ფლობს სანქცირებული მოსამართლე ლევან მურუსიძე

გირგვლიანის საქმის სკანდალური მოსამართლის „მოკრძალებული“ დეკლარაცია



# ქართველ მეხანძრე-მაშველებს თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტომ ცეცხლგამძლე ფორმები გადასცა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, თურქეთის საელჩოს, თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს ხელშეწყობით, ცეცხლგამძლე სახანძრო-სამაშველო ფორმები გადაეცა.

სპეციალური ფორმების გადაცემის ცერემონია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ტერიტორიაზე გაიმართა. ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი, თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ალი ქაან ორბაი დაესწრნენ. სტუმრებმა სპეციალური აღჭურვილობა დაათვალიერეს და მის მახასიათებლებს პირადად გაეცნენ.

ცერემონიის შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსისა და თურქეთის ელჩის შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს. შეხვედრაზე საუბარი შეეხო თურქეთის პრეზიდენტის მიერ ქართული სამაშველო ჯგუფის ხელმძღვანელისთვის სპეციალური ჯილდოს – „უმაღლესი თავდადების ორდენის" გადაცემას. თურქეთის ელჩმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა თურქეთში განხორციელებული სამაშველო მისიისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (AFAD) შორის, 2018 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს კატასტროფების რისკის მართვის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობას. მას შემდეგ ორი ქვეყნის სახანძრო-სამაშველო სამსახურები აქტიურად თანამშრომლობენ, როგორც საგანგებო სიტუაციების დროს, ასევე, ქართველი მაშველების გადამზადების მიმართულებით. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოსა და თურქეთში არაერთი სწავლება და ქართველი მაშველების გადამზადების პროგრამა განხორციელდა.

# შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ოფიციალური ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე, სამუშაო ვიზიტით, პოლონეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, შალვა ბედოიძე მონაწილეობდა პოლიციის საერთაშორისო კონფერენციაში, რომელსაც მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ღონისძიების მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: კიბერდანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ ინოვაციური მიდგომების დანერგვა და ადამიანური რესურსების განვითარება, კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ასპექტები, მსხვერპლის იდენტიფიცირების პროცესში მოპოვებული ინფორმაციის სანდოობის დადგენა, ასევე, ამ პროცესში მონაწილე პირთა როლი და სხვა.

ამავე ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დაათვალიერა საპოლიციო და უსაფრთხოების რიგით მეორე საერთაშორისო გამოფენა, რომელზეც პოლონეთის პოლიციის აღჭურვილობა და საპოლიციო უნიფორმები იყო წარმოდგენილი. პოლონელმა მესაზღვრე ოფიცრებმა საგამოფენო სივრცეში, სამომსახურეო ძაღლების შესაძლებლობების დემონსტრირების მიზნით, სპეციალური ჩვენება გამართეს.

პოლონეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსმა კომენდანტმა იაროსლავ შიმჩიკმა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს მადლობა გადაუხადა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის და ხაზი გაუსვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობას.

# შიდა ქართლის პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული ი.კ. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 24 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1970 წელს დაბადებულ ჯ.ნ.-ს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული ი.კ. ცხელ კვალზე დააკავა.

დანაშაულის ჩადენის იარაღი ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, ასევე, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# „112"– მა განახლებული მობილური აპლიკაცია და ვიდეორგოლი წარადგინა




შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112"-მა, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით, განახლებული მობილური აპლიკაცია და ვიდეორგოლი წარადგინა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები, საერთაშორისო და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112"-ის დირექტორმა გიორგი არსოშვილმა, შვედეთის ელჩმა საქართველოში ულრიკ ტიდესტრომმა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლელა ბაქრაძემ.

ღონისძიებაზე, პრეზენტაციის სახით, დეტალურად იქნა წარდგენილი ინფორმაცია „112"-ის მობილურ აპლიკაციაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. განახლების ფარგლებში, ჩანართში – „რჩევები" დაემატა ინფორმაცია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ: რა არის ადრეული ქორწინება; როგორ ხდება მისი სამართლებრივი რეგულირება და როგორ ისჯება სამართალდამრღვევი. „112"-ის აპლიკაცია უკვე ხელმისაწვდომია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც.

გარდა ამისა, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის აპლიკაციიდან „112"-თან დაკავშირება უკვე ვიდეოზარის საშუალებითაც გახდა შესაძლებელი. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში ამ გზით შესულ შეტყობინებებს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები მართავენ.

ღონისძიების დასასრულს, „112"-ის დირექტორმა გიორგი არსოშვილმა მადლობა გადაუხადა გაეროს მოსახლეობის ფონდს (UNFPA), გაწეული მხარდაჭერისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

ღონისძიება „112"-ისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის თანამშრომლობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის – გენდერული თანასწორობისთვის" – ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.






# ვახტანგ ძაბირაძე: „30 აპრილის აქცია ჩვეულებრივი, ანტიდასავლური აქცია იყო!“

## რატომ არ მივიდნენ ახალგაზრდები „უცნობისა“ და ზაზა პაპუაშვილის ორგანიზებულ მიტინგზე

თათია გორაძე
598-43-50-34

**ისინი უკვე „მოვიდნენ“... პირველი რესპუბლიკის მოედანზე „უცნობისა“ და ზაზა პაპუაშვილის მიერ ორგანიზებული აქცია „მოვდივარ“ 30 აპრილს გაიმართა. აქციის სლოგანი იყო – „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ და მას საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები შეუერთდნენ.**
**„არა ომს – მშვიდობა ჩვენს ქვეყანას“, – ამ ლოზუნგით გამოდიოდნენ მონაწილეები შეკრებაზე. ამასთან, გაირკვა, რომ აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები საქართველოს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს ემხრობიან ანუ ამბობენ, რომ საქართველოს ბედი ვერც მოსკოვში გადაწყდება, ვერც – ვაშინგტონში, ვერც – ბრიუსელსა და ვერც – კიევში...**
**„ჩვენს ბედს ჩვენ თვითონ უნდა ვწყვეტდეთ. მოვდივართ იმიტომ, რომ დასრულდეს ეს აგრესია და დამღუპველი გაუცხოება“, – აღნიშნა ზაზა პაპუაშვილმა...**
**სინამდვილეში, რას ემსახურებოდა აქცია და რის გამო „მოვიდნენ“ აქციის მონაწილეები? – ამ საკითხის პოლიტიკური ანალიზი „ვერსიამ“ პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძეს სთხოვა.**

**– ბატონო ვახტანგ, აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას რამდენიმე მოთხოვნა წაუყენეს, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდისთვის შესაბამისი პოლიტიკური შეფასება და ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა. გარდა ამ მოთხოვნებისა, თქვენი აზრით, რისი დემონსტრირება მოხდა რესპუბლიკის მოედანზე, პოლიტიკური თვალსაზრისით?**

– როგორც წესი, როცა აქციის გამართვას აპირებენ, რაღაცნაირად ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომ ეს უნდა იყოს რუსთაველზე და პარლამენტის წინ, მაგრამ თუ ცოტა ეჭვი გეპარება, რომ შესაძლოა, დიდი რაოდენობის ხალხი არ იყოს, მაშინ სჯობს, რესპუბლიკის მოედანზე გამართვა. ამას ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე ვამბობ და საინტერესო იყო თავად აქციის შემადგენლობაც – საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო აბსოლუტური უმრავლესობა. საერთოდ, ახალგაზრდას თვალს ვერ მოჰკრავდით და ესეც გარკვეული ტესტია, თუ რა აქციაზე იყო ლაპარაკი და ვინ იყო ამის მონაწილე. აქციაზე შეკრების მიზეზები, რაც ჩამოთვალეთ, სიახლეს არ წარმოადგენს ჩვენს რეალობაში, სამწუხაროდ, ძირითადად, ანტიდასავლური პოზიცია იყო აქციის მონაწილეთა და ორგანიზატორთა მხრიდან.

როდესაც ლაპარაკობ ნეიტრალიტეტზე, ან საერთოდ წარმოდგენა არ გაქვს, რას ნიშნავს ეს ნეიტრალიტეტი, რა გარემოში ცხოვრობ და რა ვითარებაა დღეს, როდესაც მიდის მთლიანად პოლარიზება მსოფლიოში; მიდის დაპირისპირება არა მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას შორის, არამედ, ზოგადად, ავტორიტარიზმსა და ლიბერალიზმს შორის... ამ დროს კი ლაპარაკობ ნეიტრალიტეტზე... 30 წელია, ნეიტრალიტეტზე ლაპარაკობენ ისინი, რომლებსაც პრორუსული განწყობა აქვთ და ჰქონდათ, რადგან საქართველოს ნეიტრალიტეტი ნიშნავს რუსულ ორბიტაზე დარჩენას, სხვას არაფერს...

ერთმა რამემ დამაინტერესა – ასეთი პოლიტიკური ძალა, მეტ-ნაკლებად, საქართველოში უკვე არსებობს, პატრიოტთა ალიანსს ვგულისხმობ, რომლის აქციებიც გაცილებით მასშტაბური იყო, თუმცა არჩევნებში




საკმაოდ მოკრძალებული შედეგები ჰქონდა. როგორც ჩანს, პატრიოტთა ალიანსის ჩანაცვლება ხდება ამ ჯგუფებით, „ალტინფოს“ და მსგავსი ძალებით... იწყება პროპაგანდისტული შეტევა ისევ და ისევ ქართულ საზოგადოებაზე, რომ დასავლეთი არის ლგბტ და მეტი არაფერი; რომ ლიბერალიზმი არის საშინელება და ომში რომ გვითრევენ, ეს ყველასთვის ცხადია – ჩვეულებრივი ანტიდასავლური აქცია იყო – მეტი არაფერი.

**– არჩევნების შედეგები ახსენეთ და მნიშვნელოვანია ასეთი პოზიციის მქონე ადამიანების რაოდენობა ქვეყანაში... როგორ ფიქრობთ, საქართველოს საზოგადოების რა წილი აქვს მსგავსი პოზიციის მქონე ადამიანებს?**

– ეს იდეა განწირულია. რომ ვახსენე ასაკობრივი შემადგენლობა, იქ საშუალო და უფროსი თაობის ადამიანები იყვნენ, რაც ნიშნავს, რომ ამ იდეის მომხრეთა რაოდენობა კატასტროფულად მცირდება, რადგან ახალგაზრდობა მათ მხარს არ უჭერს. გვინდა თუ არა, ბუნებრივი პროცესი მიდის – ჩვენ წამსვლელი თაობა ვართ და ახალი თაობა მოდის. ეს აქცია კი მიმართულია წარსულისკენ და არა – მომავლისკენ.

რაც შეეხება რაოდენობას, წეღანაც ვთქვი, პატრიოტთა ალიანსს არაერთი აქცია მოუწყვია, რომელსაც ყოველთვის, მეტ-ნაკლებად, მხარს უჭერდა ხელისუფლება, მაგრამ გაცილებით მასშტაბური იყო ის აქციები, ერთხელ თავისუფლების მოედანიც კი გაავსეს. რეალური მხარდაჭერა რომ ჰქონოდათ, ისეთი, როგორიც აქციებზე ჩანდა, მაშინ საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწევდნენ არჩევნებში, მაგრამ იმ ხალხმა, ვინც იმ აქციებზე იყო მისული, არჩევნებში ხელისუფლებას მისცა ხმა და არა – პატრიოტთა ალიანსს.

ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ეს აქციაც მხარდაჭერილი იყო ხელისუფლების მხრიდან, პირდაპირ თუ ირიბად, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკმაოდ მოკრძალებული იყო, რაც იმის თქმის საშულებას მაძლევს, ვივარაუდო, რომ ამ მიმართულებას რეალური მხარდაჭერა არ აქვს და არც ექნება. როდესაც მოსახლეობის 80% დასავლეთსა და ევროინტეგრაციას ირჩევს, რაზე უნდა იყოს იქ ლაპარაკი?!

**– წეღან ასაკობრივი მხარე ახსენეთ და მარტის აქციები გამახსენდა, როცა ე.წ. რუსული კანონის წინააღმდეგ, რუსთაველი, ძირითადად, ახალგაზრდებმა გადაავსეს... მაშინ იმ პროტესტის სულისკვეთებამ მთელი საზოგადოება მოიცვა, რაც სოციალურ ქსელებშიც ნათლად ჩანდა... მხოლოდ ამ ინდიკატორითაც ცალსახად ჩანს, თუ რა კონტრასტია ამ აქციებს შორის...**

– დიახ, რა თქმა უნდა, ფარდობა კატასტროფულია, დაახლოებით, 80/20-ზეა. 80% მხარს უჭერს დასავლურ ინტეგრაციას და 20% შეიძლება იყოს, რომელიც მერყეობს...

**– როგორ ფიქრობთ, ამას „უცნობი“ და ზაზა პაპუაშვილი ვერ ხვდებიან, თუ მართლა გულწრფელად სჯერათ იმის, რასაც ამბობენ?**

– გამიჭირდება რამეს თქმა. არის ერთი მომენტი – აქციის მონაწილეთა ნაციონალური მოძრაობისადმი დამოკიდებულება. თავის დროზე, ალბათ, გახსოვთ, რომ „უცნობს“ საკმაოდ რთული დამოკიდებულება ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობასთან და ლამის საისკვდილოდ გაიმეტეს, რამდენადაც მახსოვს, თბილისის პოლიციის სამმართველოში რომ დააპირა შესვლა, იმდენად სცემეს... ასევე, ალბათ, აქვს მიზეზი პაპუაშვილსაც... შესაბამისად, ეს მომენტი შესაძლოა, ამ მიზეზითაც იყოს განპირობებული. ყოველ შემთხვევაში, ეს წილი ნამდვილად არის მათ დამოკიდებულებაში. ამის იქით კიდევ რა არის, ქალაქში ათასი ჭორი ვრცელდება, მაგრამ ჭორებზე ვერ ვილაპარაკებ...

**– თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს საქართველოში მსგავს აქციებსა და საპროტესტო დემონსტრაციებს?**

– პერსპექტივა აბსოლუტურად არ აქვს. ეს არის, წყალწაღებული რომ ხავსს ეჭიდება, დაახლოებით, ის ვარიანტი. ვიღაცას რომ არ უნდა, ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდეს ხელისუფლებაში, მეც მათთან ვარ, ეს არც მე მინდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენ ყველაფერში ვეთანხმები. ასეთ განწყობებს პერსპექტივა არ აქვს, უფრო ხელისუფლების მხარდაჭერას ცდილობენ და იმ იდეოლოგიაში რჩებიან პროპაგანდისტული თვალსაზრისით, რაც ახლა ხელისუფლების საჯილდაო ქვა არის, თუმცა ვფიქრობ, გარკვეული დროის შემდეგ, თავად „ქართულ ოცნებაში“ მოხდება რადიკალური ცვლილებები და ეცდებიან, ასე შეძლონ შეტრიალება იდეოლოგიის. ეს აუცილებლად დასჭირდება „ქართულ ოცნებას“ და არ მგონია, რომ შემოდგომაზე, მაქსიმუმ, გაზაფხულზე ეს არ მოხდეს.

# აჭარის რევოლუციიდან გენერლის მკვლელობამდე

ვანო პავლიაშვილი

**რუსეთის ფედერაციის დედაქალაქი... რუბლოვსკაიას გზატკეცილზე მიმავალ მამაკაცს სამი უცნობი მიუახლოვდება... მართალია, მამაკაცი გამოცდილი სპეცსამსახურელია, მაგრამ უცნობებს საეჭვოს ვერაფერს შეამჩნევს და, ცხადია, აზრადაც არ მოსდის, რომ რამდენიმე წამში მისი მზე ჩაესვენება... ცეცხლსასროლი იარაღის ხმა რუბლოვსკაიას ღრიანცელში ჩაიკარგება... მკვლელები შემთხვევის ადგილს მოტოციკლით დატოვებენ... მომხდარიდან ორი თვის შემდეგ, კერძოდ, 2012 წლის 3 ივლისს, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი 21 მაისს მომხდარ მკვლელობას გახსნილად გამოაცხადებს და იტყვის, რომ დანაშაული დაქირავებულმა მკვლელებმა ჩაიდინეს. ამასთან, რუსი გამომძიებლები საზოგადოებას ამცნობენ, რომ სამივე „ქილერი“ საქართველოდანაა. გაზეთი „იზვესტია“ კი იუწყება, რომ რუბლოვსკაიას გზატკეცილზე მომხდარი მკვლელობის კვალი, შესაძლოა, ქართულ სპეცსამსახურებამდე მივიდეს. მოგვიანებით, მკვლელობის შემკვეთად ტარიელ ონიანის გარემოცვაც დასახელდება...**
**ერთი სიტყვით, ტყუილ-მართალი ერთმანეთში აიზილა და მკვლელობიდან ხუთი წლის შემდეგაც კი არ არსებობს დასაბუთებული ვერსია, რეალურად, ვინ დაგეგმა რუბლოვსკაიას ტრაგედია. ამ სისხლიანი დრამის ხილული თუ უხილავი დეტალები მხოლოდ პოლიტიკურმა წმინდანებმა და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილმა ანგელოზებმა იციან, მაგრამ მათ დუმილის აღთქმა აქვთ დადებული. ისე, ვინ იცის, პოლიტიკურმა ღმერთებმა და დემონებმა, ოდესმე, ეგებ, ცოდვების „ტარებას“ ვეღარ გაუძლონ და აღსარების განწყობაზე დადგნენ. აი, მაშინ ნათელი მხოლოდ რუბლოვსკაიას საიდუმლოს კი არა, იმ მოვლენასაც მოეფინება, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში „აჭარის რევოლუციის“ სახელით შევიდა.**

დიახ, 2012 წლის 21 მაისს, მოსკოვში მომხდარი მკვლელობის გასაღები, დიდი ალბათობით, 2003 წლის 6 მაისია. რატომ? რატომ და, მარტივად: მამაკაცი, რომელიც რუბლოვსკაიაზე „ქილერებმა“ მოკლეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ლიდერის, ასლან აბაშიძის ნდობით აღჭურვილი პირი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი გენერალი, ბათუმის 25-ე ბრიგადის ყოფილი მეთაური რომან დუმბაძე გახლდათ. ეს ის დუმბაძეა, რომელიც „ვარდოსნებმა“, მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა ისტორიული სიტყვები – „ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალია!“ წარმოთქვა, სამშობლოს ღალატში ამხილეს და რომელზეც ძებნა გამოაცხადეს: გემახსოვრებათ, მთელ საქართველოში – დასავლეთიდან დაწყებული აღმოსავლეთი დამთავრებული, ხე და ბოძი არ დარჩა, საგანგებო განცხადება რომ არ ყოფილიყო გამოკრული, იძებნება სამშობლოს მოღალატე, გენერალი დუმბაძეო. ბოლოს, მიშას ხალხმა გენერალი იპოვა და სამუდამო პატიმრობაც მიუსაჯა, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, მოვლენები უცნაურად განვითარდა – ქართულმა მხარემ სამშობლოს ღალატში მხილებული დუმბაძე, რუს გენრალ ბორისოვს, ქართველ ტყვეებში გაუცვალა. 2010 წელს, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით, გენერალ დუმბაძეს რუსეთის მოქალაქეობა მიენიჭა, თუმცა მოკლული გენერალი რუსეთში განსაკუთრებული პრივილეგიით არ სარგებლობდა ანუ როგორც ამბობენ, მოსკოვის ერთ-ერთ ძვირადღირებულ უბანში, ახლობლის ბინაში ცხოვრობდა და, პენსიის გარდა, სხვა შემოსავალი არ ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, მის ბიზნესზე არაფერია ცნობილი. მეტიც, ბათუმში დღემდე ამბობენ, რომ გენერლის ოჯახს ძალიან უჭირდა...

გენერლის მკვლელობაზე, წელანდელი თქმისა არ იყოს, ათასი ჭორ-მართალი გავრცელდა. ერთ-ერთმა ქართულმა გამოცემამ კი, აჭარლებზე დაყრდნობით, არც ის გამორიცხა, რომ დუმბაძის მკვლელობა, შესაძლოა, თავად „ბატონმა“ შეუკვეთა.

**„მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში ბევრს აღიზიანებდა აბაშიძისადმი დუმბაძის, ერთი შეხედვით, ძაღლური ერთგულება, მიაჩნიათ, რომ ეს იყო არა მონური, არამედ, იძულებითი ქმედება. როდესაც აბაშიძის მითითებით,**



სისხლიანი რებუსი – პოლიტიკური გიორგობის X-ფაილი

**დუმბაძე სატელევიზიო ინტერვიუებს იძლეოდა, აჭარის დიქტატორის დაცვა მის ოჯახში იქამდე იჯდა, სანამ გენერალი დირექტივებს ზედმიწევნით არ შეასრულებდა. იმასაც ამბობენ, რომ რომან დუმბაძეს აბაშიძის ვალი ჰქონდა, შვილი მძიმე ავადმყოფი ჰყავდა და მის გადასარჩენად 150 000 აშშ დოლარი, სწორედ ასლანმა მისცა, რის შემდეგაც ვალდებული იყო, მისი ერთგული ყოფილიყო, თუმცა ასლანმა სანაცვლოდ მონობა მოსთხოვა. ამიტომაც არსებობს ვარაუდი, რომ რომან დუმბაძე აბაშიძის მძევალი იყო, ამასთან, მას ჰქონდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც არ უნდა გაეთქვა, მაგრამ სავარაუდოდ, გენერალს ყელში ამოუვიდა დუმილი, ისიც, რომ მისი ოჯახი ბათუმში ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა და აბაშიძისგან თავის დაღწევა სცადა. სანაცვლოდ კი სიკვდილი დაიმსახურა.**

**ისე, მას შემდეგ, რაც დუმბაძე ერის მოღალატედ შერაცხეს, არაფერი თქმულა იმის შესახებ, რომ თავის დროზე, აფხაზეთის ომში, როცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კონფლიქტში მონაწილეობის წინააღმდეგი იყო, რომან დუმბაძემ 150 მეომრისგან შეკრიბა რაზმი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში ჩაერთო“,** – ნათქვამია ერთ-ერთი ქართული გამოცემის სტატიაში, რომელიც 2012 წლის 28 მაისით თარიღდება.

მოკლედ, ორ დღეში 6 მაისია, გიორგობა. მოგეხსენებათ, საქართველოს მესამე პრეზიდენტს სიმბოლოები უყვარს. ჰოდა, როგორც ამბობენ, მიშამ ასლანის დამხობაც გიორგობას სიმბოლურად დაამთხვია. შესაძლოა, ეს გადაჭარბებული წარმოდგენაა, მაგრამ ფაქტია: იმ ყბადაღებული 9 წლის განმავლობაში, „ვარდოსნები“ გიორგობაზე მეტი ზარ-ზეიმით აჭარის აბაშიძისგან გათავისუფლებას აღნიშნავდნენ... მაინც, რა მოხდა 13 წლის წინ, ვისი დავალებით ააფეთქეს ჩოლოქის ხიდი და ვინ გაინაწილა ასლან აბაშიძის ქონება? – მაშ, ასე, ქალბატონებო და ბატონებო, „ვერსია“ ტრადიციას არც ამჯერად ღალატობს და თვითმხილველთა ნაამბობზე, ასევე, მედიაში გავრცელებულ ინფორმაციებსა და პირად არქივზე დაყრდნობით, პოლიტიკური გიორგობის, ესე იგი, აჭარის რევოლუციის X-ფაილს ადგენს.

### აჭარის კრიზისის ქრონოლოგია

2003 წლის 2 ნოემბერს, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება და აჭარაში, ტრადიციულად, პირველ ადგილზე აბაშიძის აღორძინება გადის... ედუარდ შევარდნაძის ოპოზიცია არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და მასობრივი აქციებით იმუქრება. შევარდნაძე ოპოზიციის ლიდერებს ხვდება, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ მთავრდება და პრეზიდენტის ერთადერთ იმედად ასლან აბაშიძელა რჩება. ამიტომ, 10 ნოემბერს, ამბროსის ძე აჭარაში მიემგზავრება – აბაშიძე შევარდნაძეს მხარდამჭერთა მიტინგით ხვდება. 20 ნოემბერს კი თბილისში, პარლამენტის წინ, აღორძინება პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდამჭერ აქციას იწყებს, რომლის ერთ-ერთი იდეოლოგი, აბაშიძესთან ყველაზე დაახლოებული ჯემალ გოგიტიძეა. აღორძინების აქციები თბილისში 23 ნოემბრამდე ანუ „ვარდების რევოლუციამდე“ გრძელდება.

24 ნოემბერს, ასლან აბაშიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 30-დღიან საგანგებო მდგომარეობას აცხადებს, რაც საზღვრებზე, მათ შორის, ადმინისტრაციულ საზღვარზეც, ესე იგი, ჩოლოქზე კონტროლის გაძლიერებას გულისხმობს. პარალელურად, „ბაბუ“, რომელსაც პოლიტიკურ წრეებში „მოკლე ფაშასაც“ ეძახიან, „ვარდების რევოლუციას“ გმობს და ირწმუნება, რომ ამით კონსტიტუციური წყობა დაირღვა.

2003 წლის 3 დეკემბერი – აბაშიძე მოსკოვში მიფრინავს და იქიდან აცხადებს, რომ 2004 წლის 4 იანვრისთის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. 8 დეკემბერს, რუსეთი აჭარასთან გამარტივებულ სავიზო რეჟიმს აწესებს, რაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევს. 10 დეკემბერს, აჭარაში, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე ჩადის და ცდილობს, აბაშიძეს არჩევნების ბოიკოტზე უარი ათქმევინოს. პარალელურად, პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი, ასლან აბაშიძის მიმართ მწვავე განცხადებას აკეთებს: **„მზად ვარ, წავიდე კომპრომისზე, მაგრამ არა სახელმწიფოს ხარჯზე. თუ ასლან აბაშიძეს წასვლა უნდა, შეუძლია წავიდეს, მაგრამ აჭარას თან ვერ წაიღებს. ვინც ბლოკადის თემას წამოწევს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ მისთვის ოთხი კედელი გამზადებული იქნება!“**

2003 წლის 20 დეკემბერი – ბათუმს სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია სტუმრობს; 26 დეკემბერი – აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ განწყობილი მოქალაქეები სახალხო მოძრაობას – „ჩვენი აჭარა“ აფუძნებენ. მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი კობა ხაბაზია. ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ჩვენი აჭარას“ ფინანსურად ფოთის პორტის უფროსი, ჯემალ ინაიშვილი უზრუნველჰყოფს...

2004 წლის 6 იანვარი – განსხვავებული აზრის გამოხატვის ბრალდებით, აჭარაში ახალგაზრდული მოძრაობა „კმარას“ ორ წევრსა და მათი ოჯახის წევრებს აკავებენ და სამთვიან წინასწარ პატიმრობას უფარდებენ, თუმცა 18 იანვარს ათავისუფლებენ; 7 იანვარი – აბაშიძე ავტონომიურ რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობას ხელახლა აცხადებს. 11 იანვარს, გონიოში ათასკაციანი მიტინგი იმართება, რომლის მონაწილეენიც საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას ითხოვენ. აქციას უცნობი პირები არბევენ.

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*

# აჭარის რევოლუციიდან გენერლის მკვლელობამდე

*მე-4 გვერდიდან*

18 იანვარი – ბათუმის ცენტრში აჭარის შსს-ს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის უფროსს, თემურ ინაიშვილს კლავენ. აჭარაში მოქმედი ოპოზიციური ლიდერები ირწმუნებიან, რომ ინაიშვილი მხარს ოპოზიციას უჭერდა და სწორედ ამის გამო მოკლეს.

20 იანვარი – გონიოში პოლიციასა და მოქალაქეებს შორის, რომლებიც აბაშიძის გადადგომას ითხოვენ, შეტაკება ხდება.

25 იანვარი ანუ პრეზიდენტის ინაუგურაციის დღე – სააკაშვილი აჭარაში ჩადის და სამხედრო აღლუმს იბარებს. 27 იანვარი – მოძრაობა „ჩვენი აჭარა" პირველ ყრილობას მართავს და აჭარაში ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლაზე საუბრობს.

27 იანვარი – ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ აჭარაში სისხლიანი დაპირისპირება მოსალოდნელი. ამასთან, აქცენტს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სცენარზე აკეთებს...

20 თებერვალი – ბათუმში „ჩვენი აჭარას" ოფისს არბევენ, რასაც წინ აბაშიძის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკება უძღვის. სწორედ ამ დღეს, აჭარაში ევროსაბჭოს გენერალური მდივანი, ვალტერ შვიმერი იმყოფება.

22 თებერვალს, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერსა და ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარის" წევრს იტაცებენ და სასტიკად სცემენ. წინა დღეს ანუ 21 თებერვალს კი ჩოლოქთან ასევე, სასტიკად სცემენ მოძრაობა „კმარას" იმ ორ აქტივისტს, რომელსაც ბათუმში აბაშიძის საწინააღმდეგო პლაკატები მიაქვს.

27 თებერვალი – აბაშიძე ბათუმის სომხური დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე აცხადებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიარაღებულ შეჭრას გეგმავს.

2 მარტს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ აჭარაში რეპრესიების ყველა გამტარებელი უნდა დაისაჯოს. ამასთან, სააკაშვილი აბაშიძეს ათდღიან ვადას აძლევს და მოუწოდებს, რომ კონკრეტულ დამნაშავეებზე სისხლის სამართლის საქმეები აღძრას.

5 მარტი – სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტს, ვახტანგ კომახიძეს, რომელიც ბათუმიდან თბილისში ბრუნდება, ხელვაჩაურის რაიონში სცემენ. თვითმხილველები ამბობენ, რომ კობახიძეს თავს სპეცრაზმელები დაესხნენ.

7 მარტი – ასლან აბაშიძე სააკაშვილს არ ემორჩილება და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უშიშროების სამინისტროს გაუქმებაზე უარს ამბობს. 12 მარტი – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ჩამოგდების მცდელობაში ადანაშაულებს.

13 მარტს, აჭარის სამართალდამცავები საქართველოს ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს აკავებენ, რომელიც ხელვაჩაურის რაიონში, აჭარის მოსახლეობასთან შესახვედრად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩავიდა, თუმცა მალევე ათავისუფლებენ და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ატოვებინებენ. აჭარის ოფიციალურ წარმომადგენელთა თქმით, ნოღაიდელი აჭარაში დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით იმყოფებოდა.

14 მარტს, აჭარაში პრეზიდენტ სააკაშვილს არ უშვებენ – მის კორტეჟს ჩოლოქის ადმინისტრციულ საზღვარზე შეიარაღებული პირები აჩერებენ. იმავე დღეს ბათუმის უნივერსიტეტის შენობაში მოშიმშილე ლექტორებისა და სტუდენტების ნაწილს დაუდგენელი პირები არბევენ. თბილისში დაბრუნებული სააკაშვილი ტელევიზიით გამოდის და აჭარის ხელმძღვანელობას „სამხედრო გადატრიალების მცდელობაში" ადანაშაულებს... ცენტრალური ხელისუფლება აჭარას ეკონომიკურ სანქციებს უწესებს.

**„14 მარტის სატელეფონო საუბრისას, ვუთხარი ასლან აბაშიძეს, რომ აქვს დრო, იფიქროს ჩემს პირობებზე. ვთხოვე მას, შემიშვას მე და მთავრობის სხვა წევრები აჭარაში, ამომრჩეველებთან შესახვედრად; მისცეს საშუალება ადამიანებს, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი პოზიცია; მისცეს საშუალება ოპოზიციას, აჭარაში წინასაარჩევნო კამპანია თავისუფლად აწარმოოს და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩაატაროს",** – აცხადებს სააკაშვილი.



24 მარტი – საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შესაძლოა, შეყვანილ იქნას შეიარაღებული დაჯგუფებები. სააკაშვილის ამ გამოსვლას აბაშიძე უპასუხოდ არ ტოვებს და ირწმუნება, რომ ოფიციალური თბილისი აჭარაში შეჭრას გეგმავს. აბაშიძე მოსახლეობას მოუწოდებს, რომ ამ გეგმას წინ აღუდგეს. 27 მარტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი უარყოფს ინფორმაციას, რომ აჭარის მოსახლეობაში იარაღი, ბოლო დროს, ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბული ვითარების გამო დარიგდა. მისივე თქმით, იარაღი მოსახლეობას ქვეყანაში დაწყებული სამოქალაქო ომის დროს დაურიგდა, რადგანაც აჭარას არ ჰყავდა საკუთარი შეიარაღებული ფორმირებები.

28 მარტს, როგორც მთელ საქართველოში, აჭარაშიც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ტარდება. ამ დღეს ბათუმში პრემიერი ჟვანია ჩადის. რამდენიმე დღეში ნათელი ხდება, რომ აღორძინებამ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა და, შესაბამისად, პარლამენტში ვერ შევიდა. აბაშიძე ამბობს, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები გააყალბა.

2 აპრილი – თბილისი ბათუმს საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმის მცდელობაში ადანაშაულებს. იმავე დღეს, თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი, დაუმორჩილებლობის მოტივით, თანამდებობიდან ათავისუფლებს ბათუმში დისლოცირებული 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურ რომან დუმბაძეს.

9 აპრილს, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, თერთმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ, საპყრობილეს ტოვებს თენგიზ ასანიძე, რომელიც თავს აბაშიძის პოლიტპატიმრად მიიჩნევს. ამასთან, პრეზიდენტი სააკაშვილი იმუქრება, რომ თუკი ასლან აბაშიძე აჭარაში მოქმედ უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებს არ განაიარაღებს, აჭარის უმაღლეს საბჭოს დაშლის და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს, მაგრამ აბაშიძე განიარაღებაზე უარს ამბობს.

14 აპრილს, ჩოლოქზე არ ატარებენ ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილს.

16 აპრილს კი სააკაშვილი აცხადებს, რომ პრობლემა ცენტრსა და რეგიონს შორის კი არა, არამედ, კრიმინალების ერთ ჯგუფთანაა, რომელიც სახელმწიფოში მოქმედ კანონებს არ ემორჩილება.

ამის შემდეგ არენაზე გენერალი რომან დუმბაძე გამოდის ანუ 2004 წლის 19 აპრილს, 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელი აცხადებს: **„მე ვემსახურები აჭარის ლიდერ ასლან აბაშიძეს და ჩემი დანიშვნა-გადაყენებაც მას ევალება. 25-ე ბრიგადაც არის ასლან აბაშიძის დაქვემდებარებაში. მთავარსარდლად ასლან აბაშიძეს ვაღიარებ!"** 20 აპრილს, გენერალურმა პროკურატურამ დუმბაძეზე, სამშობლოს ღალატის მუხლით, სისხლის სამართლის საქმეს აღძრა.

23 აპრილი – ასლან აბაშიძე ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული ვითარების მოგვარებას რუსეთისა და აშშ-ს პრეზიდენტებს სთხოვს. იმავე დღეს, საქართველოს პარლამენტი საგანგებო დადგენილებას იღებს, რომელშიც აბაშიძის ქმედებები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად ფასდება. ამასთან, დეპუტატები პრეზიდენტისგან, მთავრობისა და სამართალდამცავი სტრუქტურებისგან ითხოვენ, რომ აჭარაში უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები განაიარაღონ. 24 აპრილს, აჭარაში საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი ცხადდება.

**„სისულელეა ასლან აბაშიძის მიერ გავრცელებული ხმები, თითქოს, რეგიონში სამხედრო ტექნიკით შეჭრას ვგეგმავთ. ასლან აბაშიძეს თავად აჭარლები მიხედავენ და ამ პრობლემას თავად ისინი გადაწყვეტენ",** – აცხადებს 26 აპრილს სააკაშვილი. მეორე დღეს კი ჩოლოქის გადაკვეთის უფლებას არ აძლევენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით შერვაშიძეს. 28 აპრილს, აბაშიძის განკარგულებით, ავტონომიურ რესპუბლიკაში არმიის რეზერვისტების მობილიზება იწყება.

2003 წლის 2 მაისი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრციულ საზღვარზე მდებარე ორ – ჩოლოქისა და ქაქუთის ხიდს აფეთქებენ. 4 მაისი – ბათუმში გამართულ მშვიდობიან საპროტესტო აქციას არბევენ. მეორე დღეს, ბათუმის უნივერსიტეტთან, ასლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით, 15 ათასამდე ადამიანი იკრიბება... ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური აქცია, რომელიც აჭარაში ოდესმე ჩატარებულა.

## რუსული ნარატივი

იმ ღამეს ბათუმში მოვლენები დრამატულად განვითარდება: ქუჩებში, რიგით ადამიანებთან ერთად, აბაშიძის შეიარაღებული მხარდამჭერებიც გამოვლენ... ცოტაც და, ალბათ, სისხლი დაიღვრება, მაგრამ... მოულოდნელად, ავტონომიის დედაქალაქში, რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, იგორ ივანოვის თვითმფრინავი ეშვება, რომელსაც ასლან აბაშიძე მოსკოვში მიჰყავს. აბაშიძის გაქცევიდან მეორე-მესამე დღეს, ერთ-ერთი ქართული გაზეთი სტატიას – „როგორ გაიქცა ასლან აბაშიძე" გამოაქვეყნებს, რომელშიც ვკითხულობთ: **„ბათუმში ყველა იმაზე საუბრობს, თუ როგორ გაიქცა ასლან აბაშიძე, ვინ გაჰყვა მას და ვინ – არა. ერთი ვერსიით, იგორ ივანოვის თვითმფრინავს ასლანი და მისი ვაჟი გაჰყვნენ, მეორე თვითმფრინავს კი – უშიშროების მინისტრი სოსო გოგიტიძე და ასლანის გარემოცვის კიდევ 50-მდე წევრი, თუმცა მათი ვინაობა არ დასახელებულა. მათ ვინაობას ვერც პრეზიდენტის მიერ დანიშნული საკოორდინაციო საბჭოს წევრები აზუსტებენ. ყოფილი ოპოზიციონერის, გურამ სალაძის ინფორმაციით, 6 მაისს, ღამით, მოსკოვში გაფრინდნენ ასლან აბაშიძე, მისი ვაჟი გიორგი, აბაშიძის ცოლისძმა და აჭარის უშიშროების მინისტრი სოსო გოგიტიძე – მეუღლითა და ქალ-ვაჟით. ამ თვითმფრინავში იყო დავით ხალვაში, აბაშიძის დაცვის უფროსი, მეტსახელად, „ქელფეთა", ისიც მეუღლითა და ორი ქალიშვილით. ასევე, „ქელფეთას" დაცვის წევრები – ტყუპი ძმები მჟავანაძეები და გიორგი აბაშიძის რამდენიმე მეგობარი... როდესაც ასლან აბაშიძის თვითმფრინავი ასაფრენად გამზადებულა და ჩასხდომა დაწყებულა, აღმოჩენილა, რომ ასლანთან ერთად გაქცევის მსურველი ბევრი ყოფილა, თვითმფრინავში კი საკმარისი ადგილი არ იყო. ზუსტად ვერავინ ამბობს, რა ეწყო თვითმფრინავის სალონში, მაგრამ ფაქტია, გაქცევის ბევრი მსურველი იძულებით დარჩენილა ბათუმში. მათ შორის ყოფილან ასლანის დაცვის წევრები – სულიკო ვასაძე და იური მჟავანაძე, ასევე, გიორგი აბაშიძის დაცვის წევრები – თამაზ ლომიძე და მურთაზ კიკნაძე. ეს ის ხალხია, რომლებიც ასლან აბაშიძეს ბოლომდე გვერდში ედგნენ"...**

ასე და ამგვარად: მიხეილის თქმისა არ იყოს, ასლანი „გაიქცა" და... აჭარა არათუ გათავისუფლდა, არამედ, მომიტინგეებმა „ბაბუს" ქონებაზე მოილხინეს ანუ გავეშებული ადამიანები აბაშიძის კაბინეტში შეიჭრნენ, იქაურობა მიანგრ-მოანგრიეს, განსაკუთრებული სისატიკე კი იმ სკამის მიმართ გამოიჩინეს, რომელზეც მეშდე აბაშიძის შვილიშვილი 13 წელი იჯდა – ნაკუწებად აქციეს. დამტვრეული სავარძლის დეტალები ზოგმა, ნიშნად იმისა, რომ აჭარელი დიქტატორის დამხობაში მონაწილეობდა, შინ რელიქვიად წაიღო. უფრო ფასეული ქონება კი „ვარდოსნებმა" გაიყვეს. ყოველ შემთხვევაში, მაშინვე ითქვა, რომ მაგალითად, „ჰამარები" თბილისში წამოიღეს და ამ ავტოებით გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილისა და სააკაშვილის მაშინდელი სხვა ძმადნაფიცების ოჯახის წევრები დანავარდობდნენ.

*დასასრული მე-15 გვერდზე*

# რა ქონებას ფლობს სანქცირებული მოსამართლე ლევან მურუსიძე



## გირგვლიანის საქმის სკანდალური მოსამართლის „მოკრძალებული“ დეკლარაცია

მაკა რუხაძე

**გირგვლიანის საქმისა და სულხან მოლაშვილის მოსამართლე აშშ-მა დაასანქცირა. თუმცა, ლევან მურუსიძე ერთადერთი არაა, რომელსაც აშშ-ის მკაცრი ხელი შეეხო. 5 აპრილს, აშშ-ის გადაწყვეტილებით, სანქციები დაეკისრა საქართველოს სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძეს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ ლევან მურუსიძეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი შენგელიასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე ვალერიან ცერცვაძეს, რომელიც ყოფილი მოსამართლეა. სხვათა შორის, სანქციები მოსამართლეების ოჯახების წევრებსაც ეხება. საქართველოში აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის განცხადებით, სახელმწიფო დეპარტამენტის ეს გადაწყვეტილება იმ ინფორმაციას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც, ეს მოსამართლეები „საჯარო თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ჩართულნი იყვნენ მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში“. სანქცირებული მოსამართლეები აშშ-ის გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ ეთანხმებიან, მმართველი პარტიაში აცხადებენ, რომ ეს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ქმედებას არ ჰგავს, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება – მოსამართლეები და მათი ოჯახის წევრები სანქცირებულები არიან. სწორედ ამიტომ, „ვერსია“ ლევან მურუსიძის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ.**

### მურუსიძის ბიოგრაფია

ვიდრე სანქცირებული მოსამართლის დეკლარაციას გაგაცნობთ, თვალი მის ბიოგრაფიას გადავავლოთ. 1998 წელს, ლევან მურუსიძემ წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2000-2004 წლებში, თბილისის საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის თანაშემწედ მუშაობდა; 2004-2005 წლებში – გორის რაიონული პროკურორის თანაშემწე იყო; 2005 წელს -თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გახლდათ; 2006-2015 წლებში – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა; 2013 წლის 9 ივნისს – საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რიგგარეშე სხდომაზე არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად; 2013 წლის 16 ივნისს – საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რიგგარეშე სხდომაზე არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად.

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, ლევან მურუსიძის სახელს უკავშირდება 2007 წლის ივლისში, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში მსჯავრდებული პოლიციის მაღალჩინოსნებისთვის სასჯელის შემცირება. სხვათა შორის, ევროსასამართლოს მოსამართლეებმა გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ **„გაოგნებულნი არიან იმ შეთანხმებული ქმედებებით, რომლითაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოები (მათ შორის, სასამართლო) მოქმედებდნენ, რათა ამ საშინელ მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო“.**

გარდა ამისა, ლევან მურუსიძის სახელს უკავშირდება 2005 წლის დეკემბერში, ე.წ „ოთხი მეამბოხე მოსამართლის“ უზენაესი სასამართლოდან დათხოვნის საქმე და 2006 წლის ივნისში, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის საქმე.

2016 წლის იანვრიდან, სულხან მოლაშვილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეა.

### სკანდალური მოსამართლის ქონება

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის განცხადებით, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიხელ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ირაკლი შენგელიასა და ვალერიან ცერცვაძეს სანქციები მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში მათი ჩართულობის გამო დააკისრა. მოსამართლეებსა და მათი ოჯახის წევრებს აეკრძალათ აშშ-ში შესვლა.

ლევან მურუსიძის განცხადებით, ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს სასამართლო სისტემაზე გავლენის მოპოვების მცდელობა. მურუსიძის განცხადებით, მისთვის მნიშვნელოვანია, ქართულმა საზოგადოებამ გაიგოს, რა ხდება რეალურად, სასამართლო სისტემასთან მიმართებაში. სანქცირებული მოსამართლის განცხადებით, ეს არის პირდაპირ თავდასხმა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაზე:

**„საუბარია მოსამართლეებისთვის მესიჯის გაგზავნაზე, რომ თუ არ მივიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ამერიკის ელჩისთვის, საელჩოსთვისაა მისაღები, ბუნებრივია, მათი მხრიდან იქნება განხორციელებული ამგვარი ზეწოლა. ამის აშკარა და მკვეთრი მაგალითია ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის შემთხვევა – როდესაც მთლიანად საელჩოს წარმომადგენლები და, ზოგადად, მათ დაქვემდებარებაში მყოფი არასამთავრობო სექტორი, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია, რომელთაც, მიმაჩნია, რომ საერთოდ არ აქვთ დამოუკიდებლობის არავითარი ხარისხი, იყურებიან საელჩოსკენ. მათ განაცხადეს მოცემულ საქმეზე ისე, რომ დაწერილი არ იყო, წაკითხულიც არ ჰქონდათ, რომ ეს კანონი იყო უკანონო და დაუსაბუთებელი. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილება ჯერ არ იყო დაწერილი და საელჩოს წარმომადგენლებმა, მათ დაქვემდებარებაში მყოფმა არასამთავრობო სექტორმა, პოლიტიკურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ ეს კანონი იყო „უკანონო და დაუსაბუთებელი“, რაც პრობლემაა. შემდეგ, ამას მოჰყვა ის, რომ კონკრეტულ მოსამართლეს მოსთხოვეს ანგარიში, შემდგომ უარი უთხრეს აშშ-ში წაყვანაზე. რა მიზეზი უნდა ყოფილიყო, მითხარით. გვარამიას საქმეზე, პარლამენტში, ერთ-ერთი დეპუტატი გამოდიოდა, იურისტი იყო და ამბობდა, რაშიც ნიკა გვარამიას დასდეს მსჯავრი, რომ მივყვეთ, ყველა დეპუტატი პასუხისგებაშია მისაცემიო. მე სრული პასუხისმგებლობით მინდა, გითხრათ, რომ აღნიშნულ პიროვნებას საერთოდ წარმოდგენა არ აქვს იმ თემაზე, რაზეც იყო მოცემული საქმე. რომ ვუსმენდი პროკურორს, რომელიც გამოდიოდა ტელევიზიით, აბსოლუტურად სხვა ბრალდებაზეა საუბარი და სხვა ბრალდებასთან დაკავშირებით საუბრობენ შემდგომ არასამთავრობო ორგანიზაციები და ასე შემდეგ“,** – აღნიშნა მურუსიძემ.

სულ ბოლოს, ლევან მურუსიძემ ქონებრივი დეკლარაცია 2022 წლის 26 ივნისს შეავსო. დეკლარციის მიხედვით, სანქცირებული მოსამართლე ფლობს 100 კვ.მ. ფართობის ბინას თბილისში, რომელიც 2009 წელს, 40 000 აშშ დოლარად შეიძინა. მურუსიძის საკუთრებაშია 5 000 აშშ დოლარად შეძენილი ავტოფარეხიც. გარდა ამისა, ფლობს 1 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთს, რომელშიც 2017 წელს, 10 500 აშშ დოლარი გადაუხდია. მურუსიძის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“, რომელიც 2020 წელს, 102 420 ლარად შეიძინა.

ქონებრივი დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ თიბისი ბანკის სახელფასო ანგარიშზე, ლევან მურუსიძეს 1 621 ლარი ერიცხებოდა, ხელფასიდან დანაზოგის სახით კი 6 000 აშშ დოლარი ჰქონია. 2021 წლის განმავლობაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მოსამართლის თანამდებობაზე, სახელფასო სარგოს სახით, ლევან მურუსიძეს 72 681 ლარი აუღია.

დეკლარაციის მიხედვით, ლევან მურუსიძეს ჰქონდა ორი სესხი, რომლის ოდენობაც დეკლარაციაში მითითებულია რ არის, თუმცა ცნობილია ამ სესხების გასავალი. ერთი სესხის შემთხვევაში გასავალი – 10 000 აშშ დოლარი, მეორე სესხის შემთხვევაში – 2 2287 აშშ დოლარი გახლავთ.

# რა დარღვევები გამოვლინდა უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციის პროცესში

მაკა რუხაძე

**სახელმწიფო აუდიტის სამსახური უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციით დაინტერესდა. შესაბამისობის აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2018-2021 წლების ავტორიზაციის პროცესს მოიცავს. როგორც მოსალოდნელი იყო, დარღვევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციაშიც გამოვლინდა. მეტიც, ინტერესთა კონფლიქტიც კი გამოიკვეთა.**



## ხარვეზები ავტორიზაციის საფასურის განსაზღვრაში, შრომის ანაზღაურებაში და ინტერესთა კონფლიქტი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

### ზოგადი ინფორმაცია

ვიდრე სახელმწიფო აუდიტორების მიერ გამოვლენილ დარღვევებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმია, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი" ახორციელებს. ავტორიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურაა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

**„საავტორიზაციო შეფასება ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგადმიღებული ინფორმაციის ანალიზს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მიზანია განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; საგანმანათლებლო პროგრამები; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი; სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები",** – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად, საავტორიზაციო პროცესი 180 დღეს გრძელდება. აღნიშნული ვადის ათვლა იწყება მას შემდეგ, რაც ცენტრი დაადგენს, რომ საავტორიზაციო განაცხადი სრულყოფილადაა წარდგენილი და სცნობს განმცხადებელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომლის წევრებსაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით, ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. მინიჭებული ავტორიზაციის ვადა ექვსი წელია.

### ხარვეზები ავტორიზაციის საფასურის განსაზღვრაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2018-2021 წლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასურის სახით მიღებულმა შემოსავლებმა 1 966 967 ლარი შეადგინა. ახლა, ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ავტორიზაციის საფასურის განსაზღვრაში:

**„შესამოწმებელ პერიოდში, ავტორიზაციის საფასურში გათვალისწინებული იყო დამატებითი ღირებულების გადასახადი – დღგ. 2020 წლის ივლისში, საქართველოს საგადასახდო კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად არ განიხილება საჯარო სამართლის იურდიული პირის – სსიპ საქმიანობა, თუ ის საქმიანობის განხორციელებისას მოქმედებს, როგორც სახელმწიფო ორგანო (ასრულებს სახელმწიფოს მიერ მისთვის დელეგირებულ საქმიანობას) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ საქმიანობისათვის დადგენილია საწევრო, მოსაკრებელი, საფასური ან სხვა გადასახდელი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ცენტრი არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრ პირად, ვინაიდან საგადასახადო მიზნებისთვის მისი საქმიანობა არ განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას. ეს ხარვეზი გასწორდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებაში, 2022 წლის 29 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით".**

სწორედ ამ კრიტერიუმის მიხედვით, ავტორიზაციის საფასური მოიცავს შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ხარჯებს, რაც მიუთითებს კრიტერიუმის ნაკლოვანებაზე. კერძოდ, ავტორიზაციის საფასური წარმოადგენს ე.წ. „ნორმატიულ ფასს", რომელიც დამტკიცებულია სამინისტროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (მინისტრის ბრძანება). შესაბამისად, შეუძლებელია აღნიშნული ტარიფები განისაზღვროს ფაქტობრივი ხარჯების საფუძველზე. საფასურის განსაზღვრა და უსდ-ის მიერ გადახდა ხორციელდება წინასწარ, ავტორიზაციის მომსახურების გაწევამდე და მისი გაანგარიშება ვერ დაეფუძნება მოცემულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს.

**„რიგ შემთხვევებში, მომსახურების ტარიფის მდგენელი ხარჯის ნორმატიული მოცულობა, არსებითად განსხვავდება ამავე სახის ხარჯის ფაქტობრივი მოცულობისაგან. მაგალითად, რეგულირებადი სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სასწავლებლების ავტორიზაციის საფასურში გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფში თანათავმჯდომარის სტატუსით შესული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურება – 12 000 ლარის ოდენობით მაშინ, როდესაც აღნიშნული ექსპერტების შრომის ანაზღაურების ფაქტობრივი ხარჯი, საშუალოდ, 8 000 ლარის ფარგლებში მერყეობს".**

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ავტორიზაციის საფასურში გათვალისწინებული არ არის აპელაციასთან დაკავშირებული ხარჯები, დავების შემთხვევაში. განსხვავებული მიდგომაა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, როდესაც აკრედიტაციის საფასური ითვალისწინებს აპელაციის ხარჯებს. სულ 2018-2019 წლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, ცენტრის სააპელაციო საბჭოს მიერ, ხუთი სასწავლებლის მიმართ მიღებულია 12 გადაწყვეტილება. რიგ შემთხვევებში, მომსახურების ტარიფის მდგენელი ხარჯის ნორმატიული მოცულობა, არსებითად განსხვავდება ამავე სახის ხარჯის ფაქტიური მოცულობისაგან, რაც ზრდის ტარიფის არასამართლიანობის რისკებს.

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# რა დარღვევები გამოვლინდა უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციის პროცესში

*მე-7 გვერდიდან*

## ინტერესთა კონფლიქტი

ავტორიზაციის საბჭოს წევრი ვალდებულია, დღის წესრიგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გარემოების არსებობა, რაც გულისხმობს, რომ საბჭოს წევრმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ზეპირ მოსმენაში იმ შემთხვევაში, თუ თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში ან/და შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან. ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი ავტორიზაციის მაძიებელ იმ დაწესებულებასთან, სადაც უნდა განახორციელოს ვიზიტი.

ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ამ ნაწილში. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში, საბჭოს სხდომებზე ავტორიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ დაინტერესებულ მხარესთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები.

**„კერძოდ, 2018 2021 წლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შვიდ წევრს, 11 შემთხვევაში, სტატუსის მაძიებელ სასწავლებლებთან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, საკითხის განხილვის დაწყებამდე, თვითაცილების შესახებ განცხადება არ გაუკეთებია. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“, როგორც ავტორიზაციის წარმოების პროცესში, ასევე, ავტორიზაციის შემდგომი შეფასების მიზნით მიღებული რეკომენდაციების შესრულებისა და დაწესებულების ფუნქციონირების გაუმჯობესების მონიტორინგში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში მონაწილეობდა პირი, რომელიც შრომითი საქმიანობით დაკავშირებული იყო აღნიშნულ სასწავლებელთან“.**

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 2018 წლის 27 აგვისტოს ჩატარებულ საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრად და ამავდროულად, საბჭოს მდივნის რანგში მონაწილეობდა დაინტერესებული მხარე – ამავე სასწავლებლის დოქტორანტი.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ავტორიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების, ასევე, ავტორიზაციის პირობების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის პროცესში დაინტერესებული პირის მონაწილეობა, არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკებს ზრდის.



## შრომის ანაზღაურება და კლინიკური სწავლება

ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა შრომის ანაზღაურებასა და კლინიკურ სწავლებაში. აუდიტოს შედეგად გაირკვა, რომ 2018-2021 წლებში, ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მონაწილე საერთაშორისო ექსპერტებზე, შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, შრომის ანაზრაურების სახით, მთლიანობაში 287 225 ევრო გაიცა.

**„საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურება საშუალოდ, 1 875 ევროდან 4 500 ევრომდე მერყეობს. შრომის ანაზღაურების სახით გადასახდელი თანხების ოდენობა განსაზღვრულია მხარეთა მოლაპარაკების შედეგად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობით. რიგ შემთხვევებში, სათანადოდ არ არის დასაბუთებული შრომის ანაზღაურებაზე მოქმედი ფაქტორების (მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის საჭირო თანხები, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და სამუშაოს დაწყების ვადები) მსგავსების პირობებში, შრომის ანაზრაურების მოცულობის თობაზე არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღება“,** – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

რაც შეეხება ხარვეზებს კლინიკურ სწავლებაში, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებიდან, რეგულირებად სამედიცინო აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა 22 სასწავლებელი. აღნიშნულ სასწავლებლებში, 2018 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, სტუდენტთა რიცხოვნობა 14 866, ხოლო 2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით – 22 584 იყო. სტუდენტთა რაოდენობის მატება განპირობებულია უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის ზრდით.

**„სასწავლებლების მიერ, ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი პრაქტიკის ხელშეკრულებების პირობებთან შესაბამისობის ანალიზით დადგინდა, რომ დღეისთვის, საქართველოში მხოლოდ ორი სამედიცინო პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფლობს საუნივერსიტეტო კლინიკას, ხოლო 20 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები პრაქტიკას გადიან საქართველოში არსებულ სხვადასხვა სამედიცინო კლინიკაში, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. 2018-2021 წლებში, მხოლოდ თბილისში არსებული რეგულირებადი სამედიცინო პროგრამის განმახორციელებელი 18 სასწავლებლის მიერ, კვლევისა და პროფესიული უნარების შესწავლის მიზნით, ხელშეკრულებები გაფორმებულია 161 სამედიცინო დაწესებულებასთან. სტუდენტები კლინიკურს წავლებას გადიან ერთსა და იმავე დაწესებულებებში. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც პრაქტიკის გავლაზე კლინიკასთან ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ერთდროულად 7-11 სასწავლებელს. არ არსებობს აღნიშნული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა“.**

ხელშეკრულებების პირობების ანალიზით დადგინდა, რომ ხელშეკრულებათა უმრავლესობაში არ არის განსაზღვრული პრაქტიკის ხანგრძლივობა; მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა; კონკრეტული სამედიცინო მიმართულებები; პრაქტიკის ხელმძღვანელები; სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლებაში ჩართული კლინიკის პერსონალის რაოდენობა და სივრცე, რომელსაც იყენებენ სტუდენტები; უცხოელი სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლის პროცესში, კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული ენობრივი ბარიერისა და კლინიკური სწავლების ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხები.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, დეტალურად არ არის განსაზღვრული მხარეთა უფლებები, ვალდებულებები და კონტროლის მექანიზმები, რაც მაქსიმალურად აამაღლებდა სასწავლო პრაქტიკის ხარისხს.



სამართალი
№15 3 მაისი 2023 წ

ბათო ჯაფარიძე

# საზარელი დანაშაული კახეთში – შვილიშვილმა 77 წლის ბებია გააუპატიურა

## უნდა ისჯებოდნენ თუ არა მოძალადეები უვადო პატიმრობით



**წინა კვირას საზარელი დანაშაული მოხდა. საზარელი მორალური აღქმით, თორემ დიდი ხანია, ასეთ ამბებს მივეჩვიეთ და ვერავინ ხსნის, რატომ და საიდან დაგროვდა ამხელა აგრესია მოზარდებში. კახეთში, 29 წლის კაცმა 77 წლის ბებია გააუპატიურა. ამბავი მას შემდეგ გახმაურდა, რაც ბებიამ გაქცევა მოახერხა, ის შვილიშვილს სახლში ჰყავდა დამწყვდეული და როგორც კი ქალმა დრო იხელთა, მეზობელთან გავიდა და ყველაფერი მოუყვა. მეზობელმა პოლიციაში დარეკა და პირველი დაკითხვის შემდეგ, მოხუცმა ყველაფერი აღიარა. ის, რომ 29 წლის კაცმა, შესაძლოა, 77 წლის ქალი სექსუალურ პარტნიორად აღიქვას, უკვე ფსიქოლოგიური კი არა, ფსიქიკური პრობლემაა. ცალკე სათქმელია ისიც, რომ დაზარალებული და მოძალადე, ბებია და შვილიშვილი იყვნენ. ამ ამბავში ყველაზე საინტერესო კანონმდებლობა გახლავთ – მოსამართლემ რაც უნდა გააკეთოს, მაქსიმუმი, რაც შეიძლება მოძალადეს მისცეს, 7 წელია. ეს ნიშნავს, რომ 7 წლის შემდეგ, 33 წლის „ჯანმრთელი“ მამაკაცი გამოვა ციხიდან, ციხეში ვერ შეიცვლის ფსიქოლოგიას და შესაბამისად, იქნება არათუ სახიფათო საზოგადოებისთვის, არამედ, ძალიან, ძალიან საშიში. რამდენი სამაჯურიც უნდა გაუკეთონ მოძალადეს, როგორც უნდა აკონტროლონ, მის გვერდით ყოფნა, არასრულწლოვანი ბავშვებით დაწყებული, 80 წელს მიტანებული ქალებით დასრულებული, სახიფათო იქნება.**

სად არის გამოსავალი? მომხდარა თუ არა ადრე ანალოგიური დანაშაული და როგორია სტატისტიკა? ზოგადად, ძალადობრივმა დანაშაულებმა საქართველოში ძალიან მოიმატა და მნიშვნელობა არ აქვს, მსხვერპლი არასრულწლოვანია თუ ასაკოვანი, შედეგი ყოველთვის ის გვაქვს, რომ... საზოგადოება აღშფოთდება, ერთი-ორი დღე სოციალურ ქსელებში იჭორავებს, გულს მოიფხანს, კლავიატურაზე კაკუნით თითებს დაიღლის და მორიგ შემთხვევას დაელოდება. ალბათ, ვინმე იკთხავს, რა უნდა ქნას საზოგადოებამ? თუნდაც ის, რომ ასეთ შემთხვევებზე კანონის გამკაცრება მოითხოვოს. შსს კი დაგვპირდა, რომ არასრულწლოვნის გაუპატიურება სამუდამო პატიმრობით დაისჯება, მაგრამ ჯერჯერობით ეს პროექტი „დაჩაქუჩებული“ არ არის და რაც მალე იზამენ, მით უკეთესი.

ზოგადად, ეს კანონი უპირობოდ გასამკაცრებელია გაუპატიურებაზე და მნიშვნელობა არ აქვს, არასრულწლოვანზე ძალადობენ, თუ სრულწლოვანზე. რადგან უვადო პატიმრობა ვახსენეთ, ურიგო არ იქნება, თუ ნარკოტიკების გამსაღებლებზეც უპირობოდ უვადო თავისუფლების აღვკეთას დააკანონებენ. ეგებ, ეს იყოს გამოსავალი ნარკოტიკებით ვაჭრობის მასშტაბების შემცირებაში. ახლა, რაც შეეხება ბებიაზე მოძალადეს...

2011 წელს, კახეთის რეგიონში, საინტერესო შემთხვევა მოხდა. 32 წლის მამაკაცი შინ ნასვამი დაბრუნდა და ხუთლიტრიან პლასტმასის ბოთლში ღვინო ჩაასხა, სახლიდან გასვლა დააპირა, რათა ქეიფი გაეგრძელებინა. შინ მყოფმა ბებიამ შვილიშვილს დაუშალა, ჩხუბი დაუწყო, დილიდან საღამომდე მთვრალი ხარ, როდის უნდა გამოფხიზლდე, არ გაგიშვებო. შვილიშვილმა ბოთლი მიწაზე დადო, შინ შევიდა, ერთლულიანი თოფი გამოიტანა და დაახლოებით, 2 მეტრის მანძილიდან, ბებიას ფეხში ესროლა. ქალს ტყვიამ ბარძაყი გადაუმსხვრია და ფეხი ლამის მთლიანად მოგლიჯა. ბიჭმა თოფი შინ შეიტანა, ბოთლი აიღო და მეგობრებთან საქეიფოდ წავიდა. მოხუცი ქალი საავადმყოფოში მეზობლებმა მას შემდეგ წაიყვანეს, რაც შემთხვევით დაინახეს, რომ მიწაზე ეგდო, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. სასამართლომ მკვლელს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და როგორ გგონიათ, ბებიის მკვლელს ციხეში როგორი დახვედრა მოუწყვეს? ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, არავის არაფერი უთქვამს და მეტიც, ამ თემაზე არცთუ იშვიათად „ღადაობდნენ“. შვილიშვილი ძალიან მშვიდად იხდიდა სასჯელს და მასთან პრეტენზია არავის ჰქონია.

აი, ახლახან მომხდარი შემთხვევა კი ბევრად მძიმეა. ჰო, იმის მიუხედავად, რომ ამ შემთხვევაში, მოხუცი ქალი ცოცხალია, შვილიშვილს ჩვეულებრივი კამერა ნამდვილად არ ელოდება და მას „საქათმეში“ უკრავენ თავს. რატომ? იმიტომ, რომ გაუპატიურება, ძალადობა გისოსებს მიღმა უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე სასამართლო დარბაზში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში, პატიმრებს უფრო მკაცრი განაჩენი გამოაქვთ.

ქართველები ფეხბურთსა და პოლიტიკაში ხომ ყველაზე მაგრები ვართ, ჰოდა, ხშირად გექნებათ გაგებული, რა ვერ დაწერეს საქართველოს კონსტიტუცია ისეთი ფორმით, ყველა მთავრობამ მასში ცვლილებები არ შეიტანოსო, მაგალითად კი აშშ-ის კონსტიტუცია მოჰყავთ, რომელიც 1787 წელს დაიწერა და მასში დღემდე თითებზე ჩამოსათვლელი ცვლილებაა შეტანილი. იმას არავინ ამბობს, რომ ამერიკული კონსტიტუცია გამოცდილმა იურისტებმა კი არა, გამოცდილმა კრიმინალებმა შეადგინეს და თან ისე, რომ მას დღემდე წუნს ვერავინ დასდებს. რატომ? – იმიტომ, რომ კრიმინალებმა ზუსტად იცოდნენ, რისი დაშვება შეიძლებოდა და რისი – არა. ახლა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საქართველოში კანონმდებლობა პატიმრებმა წერონ, მაგრამ ცუდი ნამდვილად არ იქნება, თუ ციხის კანონების სიმკაცრეს რეალურ კანონმდებლობაშიც გადავიტანთ. მაგალითისთვის, მოძალადეებს ანუ მათ, რომლებიც სასჯელს გაუპატიურებისთვის იხდიან, არათუ ციხეში, შემდგომ, ციხის გარეთაც, რიგითი პატიმრები ხელს არ ართმევენ, არ ეხებიან, როგორც უწმინდურს. შვილიშვილი რომ ბებიას გააუპატიურებს, იმას ხელი როგორ უნდა ჩამოართვა? არასრულწლოვანს რომ გააუპატიურებს კაცი, იმას როგორ უნდა მიესალმო, იმასთან ლუკმა როგორ უნდა გატეხო? ყველაფერი ეს დალაგებული აქვთ პატიმრებს თავისი „კარაბადინით“ და კიდევ ვიმეორებ, ამ მიმართულებით, რაც მალე გამკაცრდება ოფიციალური კანონმდებლობა, მით უკეთესი.

ისევ 29 წლის ბიჭსა და მის ბებიას დავუბრუნდეთ. ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ ტელეკამერების წინ, მოხუცი თამამად ველარ ამბობს, შვილიშვილი მაუპატიურებდაო. მის ყოველ სიტყვას დაკავებულის მამა ანუ მოხუცი ქალის შვილი აკონტროლებს და ჯიუტად ამტკიცებს, რომ პოლიციამ დაპატიმრება შეცდომით განახორციელა. რა თქმა უნდა, უდანაშაულობის პრეზუმფციას ვიცავთ და ხელს ვერავის ვადებთ, მაგრამ 77 წლის მოხუცი ტყუილსაც რომ ამბობდეს, ეს ნიშნავს, რომ შვილიშვილი გაუპატიურებაზე ბევრად უარესს უშვრებოდა, რადგან ბებია ამ დონემდე მიიყვანა... და მამა... დანაშაული თუ დამტკიცდა, მამაც პასუხისგებაშია მისაცემი იმიტომ, რომ ცხადი იქნება, პირველი ჩვენება საკუთარ დედას, საკუთარი შვილის სასარგებლოდ, სწორედ მან შეაცვლევინა. იმას კი არ ფიქრობს, 29 წლის ბიჭი ასე რატომ იქცეოდა და ხომ არ აქვს ფსიქიკური პრობლემები, არამედ სურს, ასეთი შვილი თავისუფლებაზე იყოს და ვინ იცის, მომავალში რას ჩაიდენს.

უდანაშაულობის პრეზუმფციას არ ვარღვევ, თუმცა დაკავებული, ადრე, მკვლელობის მცდელობისა და ძარცვისთვისაა ნასამართლევი ანუ ციხე მისთვის უცხო არ არის. ისე, საინტერესოა, პირველ სასჯელს როცა იხდიდა, არ იცოდა, ანალოგიური დანაშაულისთვის დაკავების შემთხვევაში, რა ელოდა?! რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ სავარაუდოდ, დარწმუნებული იყო, რომ არ დაიჭერდნენ და თუ დაიჭერდნენ, მშველელად მამა მოევლინებოდა.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში, მოხუცებზე სექსუალური ძალადობის შემთხვევები გახშირდა. სიხშირეს იმას ვუწოდებ, რომ წელიწადში ასეთი სახის რამდენიმე დანაშაული ხდება, რაც უდიდესი პრობლემააა. პრობლემაა იმიტომ, რომ არცთუ მცირეა არასრულწლოვნებზე სექსუალური ძალადობის, ოჯახის წევრებზე ძალადობის შემთხვევები და გამოდის, რომ ბავშვების აღზრდის დროს, რაღაც გვეპარება, რაღაც შეცდომას ვუშვებთ და მისი გამოსწორების არათუ გზებს არ ვეძებთ, არამედ, ამ პრობლემის არსებობაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს. დღემდე, ძალიან ბევრი ოჯახი ცდილობს პრობლემის დაფარვას, არ სურს, რომ მის შვილზე, ძმაზე, მამაზე, გნებავთ, დედასა და დაზე ვინმემ ცუდი თქვას, ცდილობენ, ხელი დააფარონ მანამ, სანამ „ჭირი თავს, თავად ვერ დამალავს“. შემდეგ უკვე, ხელებს უიმედოდ შლიან და ამბობენ, რომ „ეგონათ“, პრობლემა თავისით მოგვარდებოდა. სწორედ ეს „მგონია, მეგონა“ არის პრობლემის ერთ-ერთი მთავარი სათავე და სამწუხაროდ, ამას ქართველები დღემდე ვერ გადავეჩვიეთ. ჰოდა, სანამ ასე იქნება, მანამ ჩვენს ირგვლივ იძალადებენ ბებიებზე, შვილებზე, ცოლებზე და ყველაფერ ამას ან ტელევიზიით გავიგებთ, ან ვილაც უკეთესად მოახერხებს მსხვერპლის გამომწყვდევას და ვერასდროს გავიგებთ.

სამართალი

# ვინ არის რუსი ბიზნესმენი, რომლის ცოლის მკვლელიც თბილისში დააკავეს




## იდუმალებით მოცული კრიმინალური საქმის უცნობი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

**რამდენიც უნდა ვეცადოთ, 90-იანებს, უბრალოდ, ვერ დავივიწყებთ და ეს არა მარტო იმის გამო, რომ უახლოესი წარსულია, არამედ იმიტომაც, რომ ეს იყო საქართველოში ბოლო (იმედია, საბოლოო) ძმათამკვლელი ომი, ეს იყო დაპირისპირება ქართველ ახალგაზრდებს შორის, სამოქალაქო ომი, საძმოები, შეიარაღებული დაჯგუფებები, ავტომატით გატანილი სამართალი, დაყაჩაღებულ-აწიოკებული ოჯახები. 90-იანების ექო დღევანდელობასაც მოჰყვება – მაშინდელი წყენის გამო, არაერთი ადამიანი ვენდეტისთვის მზადაა და შესაბამის მომენტს ელოდება. წელი ისე არ გავა, რომ თითქოს უწყინარ სიტუაციაში ვიღაც არ მოკლან და ვერავინ ხვდება, რატომ, ან რისთვის. შემდეგ იხსენებენ, რომ 90-იანებში, მანაც ვიღაც მოკლა, ვიღაც გაამწარა და შური, სავარაუდოდ, იმის გამო იძიეს.**

საკუთარი 90-იანები რუსეთსაც ჰქონდა და მასშტაბების გათვალისწინებით, იქ მსხვერპლი ბევრად მეტი იყო. რაღა ბევრად, იყო დღეები, როცა მთელი რუსეთის მასშტაბით, დღეში 1000 ადამიანზე მეტს კლავდნენ, გარდაცვლილთა 80%-ზე მეტი, მოსკოვსა და ლენინგრადზე (ამჟამინდელი სანკტ-პეტერბურგი) მოდიოდა. შესაძლოა, ბევრი შემედაოს, რატომ და რისთვის ვიხსენებ ახლა რუსეთს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ისტორია, რომელსაც გიამბობთ, სწორედ რუსეთის დედაქალაქში დაიწყო და საქართველოს დედაქალაქში დასრულდა. დასრულდა არცთუ დიდი ხნის წინ და დასრულდა მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაცას რაღაც არ დაავიწყდა.

90-იანებში, რუსეთში რეკეტი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი იყო. საკმარისი გახლდათ, ოთხ-ხუთ მეგობარს ორი იარაღი ეშოვა, რომ მაშინვე ფულის გამოძალვას იწყებდა და ურჩებს, უბრალოდ, კლავდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფულის გადახდის წინააღმდეგ წასულ მცირე თუ მსხვილ მეწარმეებს ტყეში მარხავდნენ, მაგრამ ძირითადად, მათ ადგილზე კლავდნენ, რათა სხვებს შეშინებოდათ და... მართლაც ძალიან ეშინოდათ, ამიტომ, პრაქტიკულად, ყველა იხდიდა.

ასე მიადგნენ ერთ-ერთ რუს ბიზნესმენს, რომელსაც ფულის გამოძალვა... კარის მეზობელმა და ბავშვობის მეგობარმა დაუპირა. იმის მიუხედავად, რომ მეგობრები იყვნენ, ბიზნესმენმა ვერა და ვერ დაითანხმა, მის კომპანიაში კარგ გასამრჯელოზე ემუშავა, ბავშვობის ძმაკაცი სულ იმას იმეორებდა, ფული მარტივად უნდა ვიშოვო და არა – მუშაობითო. ჰოდა, ექვსკაციანი დაჯგუფება ჩამოაყალიბა, სადაც ეროვნებით რუსი მხოლოდ თავად იყო, დანარჩენი ხუთიდან კი ორი ქართველი, ორი ჩეჩენი და ერთი აზერბაიჯანელი გახლდათ. ფულის გამოძალვის მიზნით, სწორედ ჩეჩნები მიუგზავნა ბიზნესმენს და როცა ბავშვობის ძმაკაცს სთხოვა დახმარება, მან ურჩია, გადაიხადე, ვიცნობ მაგ ჩეჩნებს, არ მოგასვენებენო. ბიზნესმენმაც ერთხელ გადაიხადა, მეორედ, მესამედ და როცა აღარ შეეშვნენ, უკვე სხვებს მიაკითხა დასახმარებლად. „სხვებმა“ უთხრეს, ეგ ბანდა ვიცით, შენი მეგობარია მეთაური და იმას დაელაპარაკეო, რამაც ბიზნესმენი გააოგნა. მეგობარს საღამოს მეუღლესა და ბავშვებთან ერთად მიადგა, სასმელი მიიტანა და სამი ჭიქის მერე ჰკითხა – ის ჩეჩნები მართლა შენი ხელქვეითები არიანო? ისე ჩანდა, თითქოს მეგობარი ამ კითხვას ელოდა და ძალიან მშვიდად დაუქნია თავი, აბა, როგორ გინდა, მე ცოტას გართმევ, სხვები რომ მოსულიყვნენ, უფრო მეტს გამოგართმევდნენ და მე იმიტომ არ გამოვჩნდი, რომ არ გენერვიულაო. ამის გამგონე ბიზნესმენმა ვერ მოითმინა, ბავშვობის მეგობარს არყის ბოთლი თავზე გადაამტვრია და თავის ბინაში გავიდა. ნახევარ საათში, ბანდის თავგატეხილი მეთაური ბინიდან სწორედ იმ ჩეჩნებმა წაიყვანეს და ერთი თვის განმავლობაში აღარ გამოჩენილა. ერთი თვის შემდეგ კი...

ბიზნესმენის ცოლი სახლიდან 5 წლის ბავშვთან ერთად გავიდა, შვილი ბაღში უნდა წაეყვანა, როცა უკნიდან ნიღბიანი მამაკაცი მიუახლოვდა და თავში გასროლით ადგილზე მოკლა. მამაკაცი ისე მიიმალა, მისი სახე ვერავინ დაინახა, თუმცა ერთ-ერთი მეზობელი ამტკიცებდა, აღნაგობითა და სიარულის მანერით, ჩვენს მეზობელს ძალიან ჰგავდაო. სამართალდამცავებმა დაჯგუფებაზე ძებნა გამოაცხადეს, მით უმეტეს, რომ ქალის მამა ძალოვან უწყებაში მუშაობდა და სიძეს უსაყვედურა კიდეც, რატომ არ მითხარი, თუ გავიწროვებდნენო, თუმცა მაშინ სამართალდამცავებს არც საქართველოში სცნობდნენ და არც – რუსეთში, ყველაფერს იარაღი წყვეტდა, იარაღი კი კრიმინალების ხელში უფრო მეტი იყო. თავხედური მკვლელობის გამო, მილიციის თანამშრომლები დღეს და ღამეს ასწორებდნენ, ექვსეულს ეძებდნენ ყველგან, სადაც კი მოძებნა შეიძლებოდა, თუმცა ვერსად მიაგნეს. როგორც ჩანს, ისინი კარგად იყვნენ მომზადებულნი დასამალად, მაგრამ... გამომძიებლებმა ჭკუა იხმარეს, ის მეწარმეები მოიკითხეს, რომლებსაც ექვსეული ფულს სძალავდნენ და სწორედ მათგან გაიგეს, რომ ფულისთვის ერთ-ერთი ქართველი თვის პირველ რიცხვებში მიდიოდა. ფულს ყველა იხდიდა, რადგან მკვლელობის შესახებ გაიგეს და სიცოცხლეს ყველა უფრთხილდებოდა. მომდევნო თვის დასაწყისში, რამდენიმე ობიექტზე ოპერატიული ჯგუფი ჩასაფრდა. სამართალდამცავებს მკაცრი ინსტრუქცია ჰქონდათ – თუ ბანდის წევრი გამოჩნდებოდა, უბრალოდ, უკან უნდა მიჰყოლოდნენ და გაეგოთ, სად იმალებოდნენ დაჯგუფების დანარჩენი წევრები. ასეც მოიქცნენ და როცა ეჭვმიტანილი ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში შევიდა, სპეცდანიშნულების რაზმი გამოიძახეს. ახლაც ვერავინ ამბობს, როგორ და რანაირად, მაგრამ სპეცდანიშნულების რაზმმა მხოლოდ ოთხი მათგანის დაკავება შეძლო, ბანდის მეთაურმა ანუ მკვლელობაში ეჭვმიტანილმა და ერთ-ერთმა ქართველმა კი მიმალვა შეძლეს. ამბობდნენ, ისინი მეექვსე სართულიდან გადახტნენ და გადარჩნენო, რაც გამორიცხული იყო. გამორიცხული გახლდათ ისიც, რომ შეიძლებოდა, ისინი ვინმეს გაეშვა, თუმცა უდიდესი ალბათობით, მათ ქვედა სართულზე ჩახტომა მოახერხეს, იქიდან კი, როგორღაც თავი დააღწიეს. ასე იყო თუ ისე, ბანდის ორი წევრი გაიქცა, ოთხეული კი დააკავეს. მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ, სად შეიძლებოდა გაქცეულიყვნენ მეგობრები, ორი კონსპირაციული ბინის მისამართი კი დაასახელეს, მაგრამ იქ არავინ მისულა. სასამართლო მალე დასრულდა, ყველას 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩამოურიგეს, მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო – ერთ-ერთი ჩეჩენი, სასამართლოს შემდეგ, საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს, ამბობდნენ, მოკლული გოგოს მამამ არ მოისვენა, სანამ ბანდის ერთ-ერთი წევრი საიქიოს არ გაისტუმრაო.

გაქცეულების კვალი ვერსად იპოვეს, რეალურად, ვერც ქართველის ვინაობა დაადგინეს, მხოლოდ სახელი იცოდნენ – გიორგი, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ლამის ნახევარ საქართველოს გიორგი ჰქვია. ძებნა ოფიციალურად 5 წლის შემდეგ შეწყდა და გაქცეული რუსი ძებნილის სიიდან მოხსნეს, შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარეს, ბოლოს კი გარდაცვლილად გამოაცხადეს. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ამ ხნის განმავლობაში, გაქცეულს თავი არ გამოუვლენია, არ დაკავშირებია არცერთ ნაცნობსა თუ ნათესავს – ის, უბრალოდ, გაქრა.

2016 წელს, საქართველო საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა. ოპოზიცია იმაზე წუწუნებდა, რომ სწორედ ამ დროს, საქართველოში სამი რუსი ბიზნესმენი ჩამოვიდა, რომლებიც აქ ინვესტიციების განხორციელებით იყვნენ დაინტერესებულნი, თუმცა ამომრჩეველი ამას ყურადღებას ნაკლებად აქცევდა. ჰოდა, ამ სამეულიდან ერთ-ერთი ბიზნესმენი პოლიციის განყოფილებაში მივიდა და განაცხადა – ჩემი ცოლის მკვლელი ვნახე თბილისში, ის რუსეთში გარდაცვლილად ჰყავთ გამოცხადებული, მაგრამ დღეს ქუჩაში დავინახე, ავედევნე და ვიცი, სადაც ცხოვრობსო. განცხადების საფუძველზე, საქმე ოფიციალურად აღიძრა და მითითებული პიროვნება დააკავეს. მას, მართლაც, რუსული სახელი და გვარი ჰქონდა, თუმცა არა ის, რომელსაც ბიზნესმენი უთითებდა. ბიზნესმენმა საქმეში რუსი სამართალდამცავები ჩარია და მოსკოვიდან 90-იანებში აღებული თითის ანაბეჭდების ნიმუშები გადმოაგზავნეს, რომელიც დაკავებულისას დაემთხვა. დაპატიმრებულმა აღიარა, რომ სახელი და გვარი გამოიცვალა, ამის სრული უფლება ჰქონდა, თუმცა უკვე საქართველოს მოქალაქე იყო, ჩვენს ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრობდა. თქვა, რომ რუსეთში საქმე, უბრალოდ, შეუკერეს და თავის დროზე ამიტომაც გამოიქცა.

ქართველი სამართალდამცავები საქმეს ბოლომდე მიჰყვნენ და დაამტკიცეს, რომ დაკავებულს საბუთები გაყალბების გზით ჰქონდა ნაშოვნი, დაბადების ადგილადაც თბილისი ეწერა, რის საფუძველზეც, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა ჩამოართვეს და რუსეთს გადასცეს.

სასამართლო ექვსი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. დაკავებული ჯიუტად ამტკიცებდა, რომ 90-იანებში არავინ მოუკლავს, რომ ბავშვობის მეგობარმა ცოლთან შეუსწრო და ამის შემდეგ შეიძულა, ცოლიც მან მოაკვლევინა, მაგრამ რუსეთში მონახეს ორი მეწარმე, რომლებმაც დაადასტურეს, რომ 90-იანებში დაკავებული მათ არეკეტებდა, რომ ბანდის მეთაური სწორედ ის იყო და ყველაზე მეტი სისასტიკითაც, სწორედ ის გამოირჩეოდა. იმის მიუხედავად, რომ დაკავებულმა დანაშაული არ აღიარა, 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

რაც შეეხება ქართველ „პადელნიკს“, დაპატიმრებულმა მისი ვინაობა არ დაასახელა, თქვა, რომ არ ახსოვს, რა ერქვა, ან საერთოდ, რა გვარი იყო. არადა, დიდი ალბათობით, ყალბი საბუთები სწორედ მისი მეშვეობით გააკეთა საქართველოში. მაშინ, ჩვენთან, ყალბი საბუთები კი არა, გარდაცვალების მოწმობაც მარტივად კეთდებოდა.

ყველაზე საინტერესო მაინც ის გახლდათ, თუ როგორ იცნო წლების შემდეგ ბიზნესმენმა ბავშვობის მეგობარი. როგორც მან ახსნა, პატარაობისას, ძმაკაცს ეზოში თამაშის დროს შემთხვევით ქვა მოარტყა და წარბი შვეულად გაუხეთქა. იარა დიდი იყო და ნაიარევიც დიდი დარჩა. ჰოდა, მთელი ცხოვრება იმ ნაიარევს ვაკვირდებოდი, ვნერვიულობდი, რომ ჩემს გამო, ასეთი იარა დარჩა მეგობარსო და სრულიად შემთხვევით, ამ იარამ თბილისის ქუჩებში წარსული გაახსენა...

ბათო ჯაფარიძე

**21-ე საუკუნის „შავი ჭირი“, სხვადასხვა სახის ნარკოტიკთან ერთად, აზარტული თამაშებიცაა. სამწუხაროდ, რეგიონის მასშტაბით, ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ საქართველოში დგას, რადგან მეზობელ ქვეყნებში აზარტული თამაშები აკრძალულია. არცთუ იშვიათად, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან მოქალაქეები აქ სწორედ აზარტისთვის ჩამოდიან და კაზინოებს სტუმრობენ. ლუდომანია ის დაავადებაა, რომელსაც არაერთი ახალგაზრდის სიცოცხლე გადაჰყვა – მათ ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულეს, რადგან გაყიდეს, თუ რამ გასაყიდი ჰქონდათ, წააგეს, თუ რამ წასაგები იყო და ვალად აიღეს, თუ ვინმემ ვალი მისცა. საბოლოო ჯამში, ისინი დარჩნენ არა მარტო ყველაფრის, არამედ, ყველას გარეშეც და ამიტომ, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინეს. რა თქმა უნდა, დროული დახმარება, გვერდში დგომა, დროულად ჩარევა და მკურნალობა გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ...**

# როგორ მიიყვანეს რუსმა ახალგაზრდებმა ქართული კაზინოები გაკოტრებამდე




## ვინ არის ჰაკერი, რომელმაც სპეცვირუსი შექმნა

„ლუდომანები ეჯახებიან ჯანმრთელობის პრობლემებსაც – მძიმე დეპრესიიდან სუიციდურ აზროვნებამდე, ენგრევათ ფსიქიკა, კარგავენ არსებულ სოციალურ როლს. მათ თავის ტვინში ისეთივე ცვლილებები მიმდინარეობს, როგორც ალკოჰოლზე, ან ნარკოტიკზე დამოკიდებულ პირებთან. ზიანდება თავის ტვინის ქერქი და ლიმბური ცენტრი, რომელიც ჩართულია დასწავლის, მეხსიერების, მოტივაციისა და ემოციურ პროცესებში“, – ასე ხსნიან მედიცინის მუშაკები პრობლემას, რომელსაც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება ჰქვია.

სავარაუდოდ, ამიტომაც არის, რომ თუ ვინმე კაზინოს მოუგებს, ყველას უხარია და სურს, კაზინომ ბევრი წააგოს, რათა მისი ჯავრი იყაროს, უნდა გაკოტრდეს, მაგრამ რეალობა სხვაგვარია – აგებს ათასობით ადამიანი, უმართლებს ერთს ან ორს. მეტიც, რამდენიმე წლის წინ, კაზინოს ერთ-ერთი მეწილე ამბობდა, რომ მისი დაწესებულების პრინციპი ასეთია – „ხან წააგებ, ხან წააგებ, ბოლოს გაგიმართლებს და ყველაფერს წააგებ“.

საქართველოში აზარტული თამაშების აკრძალვის თაობაზე არაერთხელ ითქვა, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ როგორც ონლაინ, ისე სხვა სახის კაზინოები უნდა აიკრძალოს, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს – აზარტული თამაშებიდან, გადასახადების სახით, ბიუჯეტში მილიონობით ლარი შედის და ესეც არ იყოს, მაგალითად, პანდემიამდელ პერიოდში, აზარტული თამაშების წლიური ბრუნვა... საქართველოს ბიუჯეტზე მეტი იყო. აზარტული თამაშების აკრძალვა, ბიუჯეტის გარდა, ტურისტულ სექტორსაც გვარიანად დააზარალებს, ამიტომ ეს საკითხი მუდმივად მეორე თუ მესამე რიგში ინაცვლებს.

ჰოდა, სანამ მსოფლიოს კორონავირუსი გადაუვლიდა, საქართველოში აზარტული თამაშების რენესანსის ხანა იდგა და კაზინოები თუ ინტერნეტ-სლოტების მფლობელები ფულს ვერ ითვლიდნენ. სწორედ ამ დროს საქართველოში, ახალგაზრდების ექვსკაციანი ჯგუფი რუსეთიდან ჩამოვიდა. ეს არავის გაკვირვებია, რადგან არც რუსი ტურისტია ჩვენთვის უცხო და მით უმეტეს, არც ექვსი კაცი ერთად. ეგ კი არა და, 150-200-კაციანი ჯგუფებიც ხშირად ჩამოსულან. ბიჭებმა მცხეთაში სახლი იქირავეს, ზედ ორი მანქანაც მიაყოლეს და ეს სიამოვნება დღეში 1500 ლარი უჯდებოდათ. არც ეს არის ისეთი ციფრი, ვინმეს ყურადღება რომ მიექციათ და ყველაფერი ჩვეულებრივად იქნებოდა, რომ არა საინტერესო რამ – ბიჭებმა თბილისში ცნობილ, ერთ-ერთ კაზინოში დაიწყეს სიარული და პირველ დღეს 20 ათას დოლარამდე წააგეს, მერე ისევ წააგეს, მესამე დღეს კი მოიგეს, მეოთხე დღესაც, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე... ერთ კვირაში, მოგებამ 200 ათას ლარს გადააჭარბა, რაც კაზინოს მენეჯერებს არ მოეწონათ და ამიტომ, ჩანაწერების შესწავლა დაიწყეს. ჩანაწერებში ჩანდა, რომ დიდ თანხებზე მხოლოდ ერთი თამაშობდა, დანარჩენები, უბრალოდ, ერთობოდნენ, ძალიან უმნიშვნელო ფსონებს ჩადიოდნენ. ის ერთი კი, სლოტის აპარატზე პერიოდულად კლავიშებს არეულად აწვებოდა, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, შემდეგ ფსონს გაზრდიდა და პირველივე დარტყმაზე დიდ თანხას ხსნიდა. ძაღლის თავიც აქ იყო დამარხული, მაგრამ მოთამაშეს პრეტენზიას უბრალოდ ვერ წაუყენებდნენ, რადგან არაფერს აფუჭებდა და რაც მთავარია, ყოველ ჯერზე, სხვადასხვა აპარატთან ჯდებოდა. ქართველებმა უცხოელ პარტნიორებს მიმართეს და მათგან გაიგეს, რომ გამორიცხული იყო, აპარატს ასეთი მოგება გაეცა, თუ მასში რამე არ იქნებოდა ჩამონტაჟებული, რომელიც აპარატს „ტვინს“ აურევდა. ის „რამე“ კი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი „ფლეშკა“ უნდა ყოფილიყო, რომელსაც ვინმე აპარატს შიგნიდან გაუკეთებდა, თუმცა აპარატები კლიენტების თვალწინ არასდროს იხსნებოდა. გამოდიოდა, რომ ამ ამბავში რომელიმე თანამშრომელი იყო ჩარეული.

ვიდეოკამერების ჩანაწერების შესწავლა ახლიდან დაიყო და დაიწყეს იმის შედარება, რომელი თანამშრომელი იმყოფებოდა გახსნის პროცესში იმ აპარატებთან, რომლებზეც შემდეგ რუსი სტუმრები თამაშობდნენ. ასე გამოიკვეთა დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი და ხელმძღვანელობამ დაკვირვება გააგრძელა, თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ – რუსები, უბრალოდ, გაქრნენ. კაზინოს მენეჯერებმა სამი-ოთხდღიანი პერიოდი აიღეს, იფიქრეს, კიდევ გამოჩნდებიანო, თუმცა ყველაფერი მალე გაირკვა – ისინი დედაქალაქში, მეორე უდიდეს კაზინოს აკოტრებდნენ. რადგან ამათ ყველაფერი გარკვეული ჰქონდათ, უთხრეს, რა გზით უნდა წასულიყვნენ და დაცვის თანამშრომელი მათაც მალე გამოავლინეს. მოცდა აღარ შეიძლებოდა, ორივე კაზინომ განცხადება პოლიციაში შეიტანა, მტკიცებულებებიც თან დაურთო, თუმცა სამართალდამცავებმა აჩქარება არ ისურვეს და ეჭვმიტანილების თვალთვალი დაიწყეს. როცა ექვსეულმა მესამე კაზინოში გადაინაცვლა, მათ უკვე აკონტროლებდნენ და უყურებდნენ, რას და როგორ აკეთებდნენ. ისინი ცხელ კვალზე დააკავეს...

გამოძიებით დადგინდა, რომ მაშინ, როცა თანხებს აგებდნენ, რუსი ტურისტები დაცვის თანამშრომლებს აკვირდებოდნენ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ისინი დაცვის წევრებს ფეხსაცმელებზე უყურებდნენ და ვისაც ყველაზე იაფფასიანი ეცვა, სწორედ მას, სულ რაღაც ორი ათასი დოლარის სანაცვლოდ სთავაზობდნენ, აპარატის უკანა მხარეს, კონკრეტულ ადგილზე „ფლეშკა“ დაემაგრებინა, მეორე მორიგეობაზე კი მოეხსნა. დაცვის თანამშრომლების დათანხმება ძნელი არცერთ შემთხვევაში არ იყო. „ფლეშკაზე“ სპეციალური პროგრამა ჰქონდათ ჩაწერილი, რომელიც სლოტის აპარატებს ავირუსებდა და კონკრეტულ დროს, ღილაკებზე თითის დაჭერით, კომბინაციის აწყობით, ბონუს თამაშს რთავდა. ასე იგებდნენ სტუმრები ფულს და იმასაც ხვდებოდნენ, რომ დიდხანს ერთსა და იმავე კაზინოში არ უნდა გაჩერებულიყვნენ, თუმცა მათ არ იცოდნენ ერთი რამ – საქართველოში იმდენად მცირეა მოგების გაცემის პროცენტი, რომ ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო მოგება მაშინვე ყურადღებას იპყრობდა. სწორედ ამიტომ მიაქციეს მათ ყურადღება, თურემ ყველაფერი ეს ევროპის რომელიმე ქვეყანაში, ან აშშ-ში რომ მომხდარიყო, შესაძლოა, არც არავის შეეტანა ეჭვი. დაკითხვისას, რუსებმა აღიარეს, რომ ევროპაშიც იყვნენ, თუმცა იქაურ კაზინოებში თანამზრახველის პოვნა გაუჭირდათ, მომავალი სასჯელის შიშით, არავინ თანხმდებოდა, აი, აშშ-ში კი ვიზები არ მისცეს.

ქართველ სამართალდამცავებს, კაზინოების წარმომადგენლებსა და მათ უცხოელ პარტნიორებს მხოლოდ ის აინტერესებდათ, როგორ მუშაობდა „ფლეშკა“ და რა პრინციპით იყო პროგრამა აწყობილი. ყველაზე საინტერესოც აქ დაიწყო.

ექვსეულიდან არცერთმა არ იცოდა, რა პრინციპით მუშაობდა ჩაწერილი ანტივირუსი. მათ მხოლოდ იცოდნენ ის, თუ რა კომბინაციები უნდა აეკრიფათ კონკრეტული ოდენობის სპინების დატრიალების შემდეგ და იცოდნენ, რომ ბონუს-თამაშზე დიდ თანხას მოიგებდნენ. რაც მთავარია, დავირუსებულ აპარატს, თანხის მოხსნის შემდეგ, პროგრამა... ვირუსისგან ასუფთავებდა. ექვსივე დაკავებული ამბობდა, რომ პროგრამა მოსკოვში, ვიღაც ჰაკერისგან 50 ათას დოლარად იყიდეს და არცერთი მათგანი არ ყოფილა ექსკლუზიური მყიდველი. მეტიც, იმ ჰაკერს უკეთესი პროგრამებიც ჰქონდა, თუმცა უფრო ძვირადღირებულები. რაც მთავარია, მას არავინ იცნობდა, რადგან მხოლოდ ონლაინ ვაჭრობდა.

როგორც გვეუბნებიან, ამ ამბავმა კაზინოს უცხოელი წარმომადგენლები ისე დააინტერესა, რომ ისინი მზად იყვნენ, გირაოს სანაცვლოდ, უზარმაზარი თანხა გაეღოთ, რუსები გაეთავისუფლებინათ, სამაგიეროდ კი, მათ იმ ჰაკერის კოორდინატები უნდა მიეცათ, თუმცა ექვსეულმა კვლავ აღიარა, რომ კოორდინატებს ვერ მისცემდნენ, რადგან არ ჰქონდათ. ჰაკერი თავად ქმნიდა ჩატს, სადაც 3-4 ცალ „ფლეშკას“ ყიდდა და შემდეგ უჩინარდებოდა, ჩატი კი ინტერნეტში უბრალოდ აღარ იძებნებოდა.

ქართველი სპეციალისტების მუშაობის შემდეგ, „ფლეშკაზე“ ჩაწერილ პროგრამაზე უცხოელებმაც იმუშავეს, თუმცა მას თავი და ბოლო ვერ გაუგეს. ვერავინ მიხვდა, როგორ და რა პრინციპით ავირუსებდა პროგრამა აპარატს და შემდეგ როგორ კლავდა ამ ვირუსს, თუმცა ცხადზე ცხადი იყო, რომ პროგრამა მუშაობდა და მუშაობდა ძალიან გამართულად. უცხოელებმა რუსულ ბაზარზე ანალოგიური „ფლეშკის“ შეძენა განიზრახეს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა – როგორც კი დიდი ფულის სანაცვლოდ, ჰაკერს კავშირზე გასვლა სთხოვეს, ის უბრალოდ გაქრა.

## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, გერმანიის ფედერალურ შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, გერმანიის ფედერალურ შინაგან საქმეთა მინისტრ ნენსი ფეზერს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივებზე ისაუბრეს. ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა გერმანიის სამართალდამცავ უწყებებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობას და გერმანულ მხარეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში მუდმივი მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა არალეგალური მიგრაციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე, ასევე, ამ კუთხით პოლიციის ატაშეების როლზე. ვახტანგ გომელაურმა ქართველი პოლიციის ოფიცრების გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფებში წარგზავნისთვის მზაობა გამოთქვა და განმარტა, რომ ერთი მხრივ, აღნიშნული ხელს შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას, ხოლო მეორე მხრივ – უკანონო მიგრაციული ნაკადების კონტროლს.

გერმანულმა მხარემ აღნიშნა, რომ საქართველო წარმატებით ახორციელებს ევროკავშირთან რეადმისიის შეთანხმების იმპლემენტაციას. აგრეთვე განაცხადა, რომ გერმანიასა და საქართველოს შორის, ამ მიმართულებით თანამშრომლობა, ეფექტიანად ხორციელდება. ამასთან, დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები და მიმდინარე რეფორმები, რომლებიც ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის გამოწვევებზე საპასუხოდ განხორციელდა. გერმანულმა მხარემ სურვილი გამოთქვა, შეიქმნას ორმხრივი სამუშაო ჯგუფები, რათა სხვადასხვა პროფესიის მქონე საქართველოს მოქალაქეებს დამატებით მიეცეთ გერმანიაში ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობა.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლევან იზორია, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თეიმურაზ კუპატაძე და საქართველოს პოლიციის ატაშე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სერგო თურმანიძე.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ გერმანული მხარის წარმომადგენლები: გერმანიის ფედერალური მთავრობის სპეციალური რწმუნებული მიგრაციის საკითხებში იოახიმ შტამპი, გერმანიის ფედერალური შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ბერნდ კრიოსერი, მართვის, დაგეგმვისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი ბასტიან ფლაიგი, მიგრაციის, ინტეგრაციის, ლტოლვილებისა და ევროპული ჰარმონიზაციის დეპარტამენტის უფროსი ულრიხ ვაინბრენერი და საერთაშორისო და ევროკავშირის საკითხების შტაბის უფროსი მიხაელ ნიმაიერი.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა ფედერალურ შინაგან საქმეთა მინისტრს მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის და საპასუხო ვიზიტით საქართველოში მოიწვია.

## ვახტანგ გომელაურის ოფიციალური ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დასრულდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დასრულდა. ვიზიტის ფარგლებში, ვახტანგ გომელაური გერმანიის ფედერალურ შინაგან საქმეთა მინისტრ ნენსი ფეზერს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივებზე ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა არალეგალური მიგრაციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე, ასევე, ამ კუთხით პოლიციის ატაშეების როლზე.

გერმანულმა მხარემ აღნიშნა, რომ საქართველო წარმატებით ახორციელებს ევროკავშირთან რეადმისიის შეთანხმების იმპლემენტაციას. ამასთან, დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები და მიმდინარე რეფორმები, რომლებიც ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის გამოწვევებზე საპასუხოდ განხორციელდა. შეხვედრაზე გერმანულმა მხარემ სურვილი გამოთქვა, შეიქმნას ორმხრივი სამუშაო ჯგუფები, რათა სხვადასხვა პროფესიის მქონე საქართველოს მოქალაქეებს დამატებით მიეცეთ გერმანიაში ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობა.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შეხვდა გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტ ჰოლგერ მიუნხს. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა მიმოიხილეს და ბოლო პერიოდში განხორციელებული ერთობლივი ოპერაციები დადებითად შეაფასეს.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი უკვე დასრულდა.

## რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სამაშველო ოპერაციაში მონაწილე ქართველი მაშველები დააჯილდოვა




თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, სამოქალაქო უსაფრთხოების პოლკოვნიკ მამუკა სეფიაშვილს, რომელიც თურქეთის ქალაქებში – ადიამანსა და ანთაქიაში მომხდარი მიწისძვრის სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ჩართულ ქართულ სამაშველო ჯგუფს ხელმძღვანელობდა, სპეციალური ჯილდო – „უმაღლესი თავდადების ორდენი“ გადასცა.

ქალაქ ანკარაში, პრეზიდენტის სასახლეში, თურქეთის კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (AFAD) მიერ ორგანიზებულ სპეციალურ ღონისძიებაზე, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ჩართულ ყველა ქვეყნის სამაშველო ჯგუფის ლიდერს სპეციალური ორდენი და მადლობის სიგელი გადასცა. პრეზიდენტმა ერდოღანმა სამაშველო ოპერაციაში ჩართულ მაშველებს გაწეული დახმარებისა და თავდადებისთვის მადლობა პირადად გადაუხადა.

ქართული სამაშველო ჯგუფი თურქეთში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, კატასტროფის პირველივე დღეს გაემგზავრა და ჯამში 200-მდე მაშველმა სამაშველო მისია 18 დღის განმავლობაში ორ ქალაქში შეასრულა.

## თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქართველ კოლეგას – ვახტანგ გომელაურს მადლობა გადაუხადა

საქართველოს მთავრობასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სულეიმან სოილუმ მადლობა გადაუხადა.



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს, თურქი კოლეგა ოფიციალურ წერილში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელთა მიერ თურქეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი სამადლობელ წერილში აღნიშნავს, რომ ქართველი მაშველების თავდაუზოგავი შრომის შედეგად გადარჩენილია არაერთი მოქალაქის სიცოცხლე.

**„უდიდეს მადლობას გიხდით მიწისძვრებით გამოწვეული ნგრევისა და ადამიანების გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩვენი ტკივილის გაზიარების, დაზარალებული რეგიონების მონახულებისა და სოლიდარობისთვის. ჩვენი ხალხი არასდროს დაივიწყებს მთელი ერისთვის ამ ტრაგიკულ პერიოდში საქართველოს მიერ გამოწვდილ დახმარების ხელს, ჩვენი ტკივილის გაზიარებას და ჩვენთვის აღმოჩენილ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას.**

**მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და კვლავ მადლობა გადავუხადო თქვენს აღმატებულებას, საქართველოს მთავრობასა და თავდადებულ ქართველ მაშველებს, თქვენი სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებმაც თავი არ დაზოგეს სამძებრო სამუშაოების დროს და არაერთი სიცოცხლე გადაარჩინეს“,** – ნათქვამია ოფიციალურ წერილში.

# საქართველოს ჯგუფიდან გასვლის შანსი აქვს




ფილიპინების დედაქალაქ მანილაში, მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. არსებობის ისტორიაში პირველად, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს და შესაბამისად, წილისყრას ქართველი გულშემატკივარი დიდი ინტერესით ელოდა. ვაღიაროთ, რომ გაგვიმართლა და გაგვიმართლა იმიტომ, რომ ჯგუფიდან გასვლის საუცხოო შანსი გვაქვს. ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის და ჩვენი მეტოქეების სიძლიერის გათვალისწინებით, პირველი თუ არა, მეორე ადგილის დაკავების პრეტენზია აუცილებლად უნდა გვქონდეს. მაშ ასე, წილისყრის შედეგები ასეთია:

**A ჯგუფი: ანგოლა, დომინიკის რესპუბლიკა, ფილიპინები, იტალია;**
**B ჯგუფი: სამხრეთ სუდანი, სერბეთი, ჩინეთი, პუერტო-რიკო;**
**C ჯგუფი: აშშ, იორდანია, საბერძნეთი, ახალი ზელანდია;**
**D ჯგუფი: ეგვიპტე, მექსიკა, მონტენეგრო, ლიეტუვა;**
**E ჯგუფი: გერმანია, ფინეთი, ავსტრალია, იაპონია;**
**F ჯგუფი: საქართველო, სლოვენია, ვენესუელა, კაბო-ვერდე;**
**G ჯგუფი: ირანი, ესპანეთი, კოტ-დივუარი, ბრაზილია;**
**H ჯგუფი: კანადა, ლატვია, ლიბანი, საფრანგეთი.**

საქართველოს ეროვნული გუნდი F ჯგუფში სლოვენიასთან, ვენესუელასა და კაბო-ვერდესთან მოხვდა. ამ ჯგუფის მატჩები იაპონიის ქალაქ ოკინავაში გაიმართება. 26 აგვისტოს, საქართველოს ნაკრები კაბო-ვერდეს შეხვდება, 28 აგვისტოს – სლოვენიას, 30 აგვისტოს – ვენესუელას.

A, B, C და D ჯგუფებს ფილიპინები უმასპინძლებს, E და F ჯგუფებს – იაპონია, ხოლო G და H ჯგუფებს – ინდონეზია. მსოფლიოს ჩემპიონატი სტარტს 25 აგვისტოს აიღებს და 10 სექტემბერს დასრულდება. თითოეული ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე ორ-ორი საუკეთესო გავა, ხოლო ის ნაკრებები, რომლებიც ჯგუფურ ბარიერს ვერ დაძლევენ, ბრძოლას მეშვიდმეტეოცდამეთორმეტე ადგილებისთვის გააგრძელებენ.

ბარემ ჩვენს მეტოქეებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. სლოვენიის ნაკრები, რომელიც 2017 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოზე მესამედ ასპარეზობს და საუკეთესო შედეგი – მეშვიდე ადგილი აქვს. ვენესუელა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედ მოხვდა და საუკეთესო შედეგი მე-11 ადგილია, ხოლო კაბო-ვერდე ჩვენს დარად, დებიუტანტია. ამ გადმოსახედიდან ისე ჩანს, რომ მთავარი ბრძოლა, სწორედ ვენესუელასთან გვექნება.

# ნეაპოლური ზეიმი 4 მაისისთვის გადაიდო



30 აპრილს, „ნაპოლის“ საკუთარ მოედანზე „სალერნიტანასთვის“ რომ მოეგო, იტალიის ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე, ოქროს მედლებს ინაღდებდა. მთელი ქალაქი საზეიმოდ იყო მორთული და მატჩის დროც კი გადაწიეს იმისთვის, რომ სრულფასოვანი ზეიმი გამართულიყო. ამას გარდა, ნეაპოლში რომიდან პოლიციის დამატებითი ეშელონები ჩავიდა, რათა სამართალდამცავებს წესრიგი დაეცვათ და 33 წლის ნანატრი „სკუდეტო“ კანონის ფარგლებში აღენიშნათ.

მატჩი „ნაპოლის“ სრული უპირატესობით წარიმართა, მასპინძლები 85-ე წუთამდე იგებდნენ კიდეც, თუმცა შემდეგ სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს და ნეაპოლელების ზეიმი 4 მაისისთვის გადადეს. 4 მაისს, „ნაპოლი“ „უდინეზეს“ სტუმრობს და ქულის მოპოვების შემთხვევაშიც კი, ჩემპიონი ხდება.

და ერთიც – მატჩის მიწურულს, ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა ხვიჩა კვარაცხელიამ, რის გამოც სოციალურ ქსელებში არაერთმა ქართველმა გააკრიტიკა, აქაოდა, გადამწყვეტ მომენტში ხვიჩა ვერაფერს აკეთებს, ეგ რა ფეხბურთელიაო. ჯერ ერთი, კვარა „ნაპოლიში“ პირველ სეზონს ატარებს და ყველა ამბობდა, რომ მისთვის 4-5 გოლის გატანა იდეალური ვარიანტი იქნებოდა, ხვიჩამ კი უკვე 14 გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე გადაცემა შეასრულა. ესეც არ იყოს, კვარაცხელია სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია და პირველივე წელს, შენი თანამემამულე ამდენს რომ მიაღწევს, ოქროს მედალს მოიპოვებს (ეს უბრალოდ დროის ამბავია) და ერთი მომენტის გამო აკრიტიკებ, უბრალოდ, ჩასაფრებული ინტრიგანი ხარ, რომელსაც რეალურად, ქართველის წარმატება არ გიხარია.

# „ბარსელონა“ Barca TV-ს ხურავს




კატალონიურ „ბარსელონას“ წინ უმძიმესი სატრანსფერო ფანჯარა ელოდება. საქმე ის გახლავთ, რომ კლუბს ფული არ აქვს და ახალ ფეხბურთელებს ვერ იყიდის, თუ ამჟამინდელი შემადგენლობიდან ვინმეს არ შეელევა. კლუბს ფინანსურად იმდენად უჭირს, რომ 30 ივნისიდან, საკლუბო ტელევიზიას – Barca TV-საც ხურავს და 150 თანამშრომელს ათავისუფლებს. გაგიკვირდებათ და, ამ ინფორმაციას კლუბის ქომაგები ძალიან მშვიდად შეხვდნენ. თუმცა, იმიტომ კი არა, რომ ტელევიზია არ სურთ, არამედ, კატალონიაში ყველამ იცის – ხუან ლაპორტა ფულს ლიონელ მესის დასაბრუნებლად ეძებს.

არგენტინელი მზად არის, „ბარსელონაში“ დაბრუნდეს, მაგრამ ამისათვის კლუბმა მას არა მარტო კარგი ჯამაგირი უნდა შესთავაზოს, არამედ, პანდემიის დროს დაკლებული და არგადახდილი 26 მილიონიც უნდა აუნაზღაუროს. მთლიანობაში, მესისთან სრულფასოვანი კონტრაქტის გასაფორმებლად, „ბარსელონას“ 200 მილიონ ევრომდე სჭირდება და რამდენად მოუყრიან ამ თანხას თავს კატალონიელები, ძნელი სათქმელია.

# ხურციძე თავისუფალია და საქართველოს სახელით აღარ იჩხუბებს




ალბათ, გახსოვთ, რა აჟიოტაჟი მოჰყვა პროფესიონალი ქართველი მოკრივის, ავთანდილ ხურციძის დაკავებას ექვსი წლის წინ. მაშინ „ჩაქუჩა" ამერიკაში სატიტულო ბრძოლის გასამართად გაემგზავრა, მაგრამ ქართულ-რუსულ კრიმინალურ დაჯგუფებასთან კავშირის ბრალდებით, აეროპორტში დააკავეს და გრძელვადიანი სასჯელიც მიუსაჯეს. იმის გამო, რომ ეს მისთვის პირველი დაკავება გალხდათ და ციხეშიც კარგად იქცეოდა (თუ რამდენიმე ჩხუბს არ ჩავთვლით), ის ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. გათავისუფლებიდან მალევე, 43 წლის ხურციძე იმ დარბაზში მივიდა, სადაც მანამდე ვარჯიშობდა და გულშემატკივრებს სიხარულით ამცნო, რომ იმავე დარბაზში კიდევ ერთი ქართველი მოკრივე, ლაშა გურგულიანი ვარჯიშობს. აი, რას წერს „ჩაქუჩა" სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე:

**„ლაშა დღეს გავიცანი დარბაზში, ახლა იქიდან მოვდივართ. ამერიკის მთავრობა ძალიან ნერვიულობდა, არ დავკარგულიყავი და ამიტომ, სამაჯურით გამომიშვეს. მაგრამ ეს პრობლემა არაა, ქამრები მალე დამიბრუნდება, თუმცა საქართველოს სახელით აღარ ვიჩხუბებ. სამწუხაროდ, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ვთქვი და აშშ-ს ლტოლვილად ჩავბარდი. თუ აქ დასჭირდებათ, ამერიკის დროშით გამოვალ. რა თქმა უნდა, ქართველებს ბოდიშს გიხდით, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა"...**

ბოლოს, ქართველმა მოკრივემ ექვსი წლის წინ იჩხუბა და სატიტულო ბრძოლა რატომაც ჩაეშალა, გითხარით. თუ ის პროფესიონალურ კარიერას განაახლებს და ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს, 43 წლის ასაკში, კრივის ისტორიაში, ის მესამე, ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი იქნება.

# „ნაპოლის" დაშლა დაიწყო




მიმდინარე წელს, იტალიური „ნაპოლი" ძალიან საინტერესო ფეხბურთს თამაშობს. ერთი შეხედვით რიგითი ფეხბურთელები, მოულოდნელად, ნამდვილ ვარსკვლავებად იქცნენ და 33 წლის შემდეგ, ნეაპოლელებს იტალიის ჩემპიონობა აჩუქეს. ამის მიუხედავად, ლუჩანო სპალეტის გუნდი ევროპულ გრანდად არ ითვლება და იტალიაშიც კი ისეთი პოპულარული ვერ არის, როგორც „იუვენტუსი" და „მილანი" არიან. ერთი „სკუდეტოდან" მეორემდე 33-წლიანი ლოდინიც იმაზე მეტყველებს, რომ კლუბს გამონათებები ათწლეულებში ერთხელ აქვს და ახლა სწორედ ეს პერიოდია. სასიხარულოა, რომ ამ „გამონათების" ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ხვიჩა კვარაცხელიაც გახლავთ. მისი გადაბირება რამდენიმე გუნდს კი უნდა, მაგრამ „ნაპოლის" პრეზიდენტი ირწმუნება, ქართველს არ გავყიდიო, რასაც ვერ ამბობს გუნდის კიდევ ორ ლიდერზე – ვიქტორ ოსიმენსა და კიმ მინ ჯეზე. კორეელ მცველთან სიტუაცია ბევრად მარტივია იმის მიუხედავად, რომ კიმის სანაცვლოდ, გრანდები 70-80 მილიონსაც სიამოვნებით გადაიხდიან. ფეხბურთელს კონტრაქტში გარკვევით უწერია, რომ თუ ვინმე მასში 50 მილიონს გაიღებს, კლუბს უფლება არ აქვს, ფეხბურთელის თანხმობის შემთხვევაში, ტრანსფერზე უარი განაცხადოს. ჰოდა, ზაფხულში მინ ჯე ინგლისის გზას დაადგება და კარიერას „მანჩესტერ სიტიში" გააგრძელებს. მასში გადახდილი მცირე თანა (50 მილიონი თუ მცირეა) ფეხბურთელს შესაძლებლობას მისცემს, ბევრად სარფიანი პირადი კონტრაქტი გააფორმოს.

რაც შეეხება ოსიმენს, იტალიური მედია ამტკიცებს, ნიგერიელი ფორვარდის აგენტმა ფრანგულ „პსჟ"-სთან უკვე მოილაპარაკა, ყველა დეტალი შეთანხმებულია და ვიქტორი ნეაპოლელებს 150 მილიონი ევროს სანაცვლოდ დაემშვიდობებაო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად კვარაცხელიას ბედი გვაღელვებს და მის გარშემოც არაერთი ჭორ-მართალი ვრცელდება, თუმცა საბოლოო სიტყვა კლუბის პრეზიდენტსა და თავად ხვიჩაზეა.

რადგან ქართველ ლეგიონერზე ვსაუბრობთ, ლუჩანო მოჯის განცხადებასაც გაგაცნობთ. მოჯი „იუვენტუსის" ყოფილი პრეზიდენტია და იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურად აქვს აკრძალული საფეხბურთო საქმიანობა, იტალიურ ფეხბურთში დღემდე, ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად რჩება.

**„ხშირად მესმის, რომ კვარაცხელია აღმოჩენაა. რეალურად, ეს ასე არ გახლავთ. ქართველის შეძენით ბევრი ევროპული კლუბი იყო დაინტერესებული, როცა ის „რუბინის" ღირსებას იცავდა, მაგრამ რუსული მხარე მასში დიდ თანხას ითხოვდა. შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა, უბრალოდ, „ნაპოლიმ" ყველას დაასწრო და ხელში იაფად ჩაიგდო ფეხბურთელი, რომელიც გაცილებით ძვირი ღირდა",** – განაცხადა მოჯიმ.

# აჭარის რევოლუციიდან გენერლის მკვლელობამდე

*მე-5 გვერდიდან*

2004 წლის 6 მაისის შემდეგ, ქართული მედია დაწერს: **„გავრცელებული ინფორმაციით, აბაშიძის კუთვნილ საზღვაო ბანკში ერთი თეთრიც არ აღმოჩნდა. დაუზუსტებელია იმ თანხის რაოდენობა, რომელიც ასლან აბაშიძემ მოსკოვში წაიღო. გადამოწმებული ინფორმაციით, საზღვაო ბანკი ბოლო ერთი კვირის განმავლობაში არ მუშაობდა და ბოლო დღეებში, ბანკიდან არაფერი გაუტანიათ (ცოცხალ თანხას ვგულისხმობთ). თუ რამე გასატანი იყო, მას ერთი კვირის წინ ჰქონია გატანილი. უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ორი კეისი, რომელიც აბაშიძემ მოსკოვში გაიყოლია, სავსე ყოფილა სხვადასხვა სახის ძვირფასეულობით, მაგრამ ყველაფრის წაღება აბაშიძემ და მისმა გარემოცვამ ვერ მოახერხა... სოსო გოგიტიძის ბინაში აღმოჩენილია აჭარის სხვადასხვა ეკლესიიდან წაღებული უძვირფასესი ხატები, რომლებიც იმავე ეკლესიებს გადაეცემათ, საიდანაც დაიტაცეს“.**

რით დაიმსახურა თავის დროზე ხულიგნობაში ეჭვმიტანილმა, ნასამართლევმა და კომუნისტმა ასლან აბაშიძემ ზვიად გამსახურდიას პატივისცემა და მხარდაჭერა? – აბაშიძის 13-წლიანი მმართველობის დამხობის დღეებში, ეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური კითხვა იქნება. ჩემს პირად ჟურნალისტურ არქივში, დღემდე ინახება კონფიდენციალური წყაროს მონათხრობი, რომლის თანახმადაც, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, აბაშიძის გამო, თურმე, უახლოეს გარემოცვასაც დაუპირისპირდა...

სხვათა შორის, აბაშიძის გაქცევისთანავე ზოგიერთმა „ვარდოსანმა“, მაგალითად, კობა დავითაშვილმა სიტყვა აჭარის ავტონომიის გაუქმებაზე ჩამოაგდო, თუმცა მისი ინიციატივა, რომ ამ თემაზე პლებისციტი ჩატარებულიყო, ახალადარჩეულმა პარლამენტმა ჩააგდო. მახსოვს, მაშინ ერთმა კონფიდენტმა მითხრა, დავითაშვილის ეს ინიციატივა დიდი პოლიტიკა კი არა, უფრო სამთავრობო ინტრიგაა, რომლის მიზანიც პრემიერ ჟვანიას „ჩაძირვააო“.

**საინტერესო დეტალი:** ასლან აბაშიძემ საქართველო ისე დატოვა, რომ გადადგომაზე არც წერილობით განცხადება გაუკეთებია და არც – სიტყვიერი. მოსკოვში გაფრენამდე კი უზენაესი საბჭოს წინ მიმდინარე მიტინგზე გამოვიდა, მომხრეებს მადლობა გადაუხადა და, მოსალოდნელი დარბევის თავიდან აცილების მიზნით, შინ წასვლა ურჩია. მაშინდელ სახელისუფლო კულუარებში აბაშიძის მოსკოვში წასვლას ასე ახსნიან: „ალბათ, ფიქრობს, რომ კრემლის დახმარებით, უკან ტრიუმფით დაბრუნდება, დაკარგულ თანამდებობა-პრივილეგიებს აღიდგენს და იტყვის, რომ მოსკოვში საქმიანი ვიზიტით წავიდა“, მაგრამ პოლიტიკური ღმერთები და დემონები „ბაბუს“ აღარ სწყალობენ ანუ მოვლენები ამ სცენარით არ ვითარდება, თან ცენტრალური ხელისუფლება თავს იზღვევს და ავტონომიის მეთაურის პოსტს აუქმებს. მაშასადამე, აბაშიძეს რევანშით დაბრუნების სამართლებრივ საფუძველს უკლავს...

რატომ იზრუნა იგორ ივანოვმა აბაშიძის საქართველოდან წაყვანაზე? – ამ კითხვაზე პასუხი თითქოს ნათელია. კერძოდ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა დიდების ოლიმპოზე იდგა, აბაშიძეს კრემლმა გენერალ-მაიორის ჩინი უბოძა. სწორედ იმხანად ითქვა, რომ ასლანი ზვიად გამსახურდიას კრემლმა „შეუგდო“, თუმცა ადამიანმა, რომელსაც გამსახურდიას მთავრობაში ერთ-ერთი გავლენიანი პოსტი ეჭირა, თავის დროზე, მახსოვს, მითხრა: **„თემურ ქორიძემ, რომელსაც გამსახურდიას პარლამენტში დიდი გავლენა ჰქონდა, აბაშიძე საყოფაცხოვრებო სამინისტროში გაიცნო – იმახანად აბაშიძე საყოფაცხოვრებო მინისტრის მოადგილედ მუშაობდა... ამის შემდეგ ასლანი ზვიადთან მიიყვანა და უთხრა, რომ მემედ აბაშიძის შვილიშვილი იყო. კონსტანტინე გამსახურდია და მემედი, თურმე, მეგობრობდნენ... ამასობაში, „მრგვალმა მაგიდამ“ არჩევნებში გაიმარჯვა და ხელისუფლებაში მოვიდა. არავინ ელოდა, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ გამსახურდია აბაშიძის კანდიდატურას წარადგენდა. ამ თანამდებობის დაკავების ყველაზე მორალური უფლება ნოდარ იმნაძეს ჰქონდა. იგი ეროვნული მოძრაობის ლიდერი იყო, აბაშიძე კი – კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენელი. წესით, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე უზენაესი საბჭოს წევრი უნდა გამხდარიყო. აბაშიძე უზენაესის წევრი არ იყო, მაგრამ მისი კანდიდატურა კენჭისყრაზე მაინც დავაყენეთ. ეს, რა თქმა უნდა, კანონის დარღვევა**



**იყო. უზენაესი საბჭოს სხდომას, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი ატარებდა, გამსახურდიაც ესწრებოდა. დეპუტატები აბაშიძეს უნდობლობას უცხადებდნენ. ვიცოდით, რომ ფარულ კენჭისყრაში აბაშიძე ვერ გაიმარჯვებდა, ამიტომ ვცდილობდით, რომ ღია კენჭისყრა ჩატარებულიყო. თავიდან დეპუტატებმა ღია კენჭისყრის საკითხიც ჩააგდეს, შესვენება გამოცხადდა და დიდი აყალ-მაყალი ატყდა. აბაშიძის წინააღმდეგ ყველაზე მეტად დავით ბერძენიშვილი და თამაზ დიასამიძე აქტიურობდნენ... ერთ-ერთ დეპუტატს, თუ არ ვცდები, სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს, ვთხოვე, რომ ხმა აბაშიძისთვის მიეცა... ასე გახდა ასლანი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც თავიდან ზვიად გამსახურდიას მითითებებს ზედმიწევნით ასრულებდა. მერე კი სარფის საბაჟოს გაკონტროლება დაიწყო და... აჭარაში „ვლასტი“ ნელ-ნელა აიღო. მეტიც, ზვიად გამსახურდიამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების აღჭურვა დაავალა... ამ იარაღის ნაწილი აჭარის მოსახლეობის ხელში მოხვდა, ნაწილი – „მხედრიონის“.**

ჯაბა იოსელიანი, თავის წიგნში – „მესამე განზომილება“, წერს: **„ღამის გასათევად ბათუმში გადავდივარ. ბარემ ასლანს მოვინახულებ, მადლობასაც გადავუხდი. ამას წინათ, დიდად დამასაჩუქრა: 400 ახალთახალი რუმინული ავტომატი და 20 ყუმბარმტყორცნი თავისი ყუმბარებით – დღეს ეს პირდაპირ ფანტასტიკაა. „მხედრიონის“ მთავარი ბირთვი შეიარაღებული მყავს“...**

რატომ უღალატა აბაშიძემ ზვიად გამსახურდიას? – ამ საიდუმლოს ამოხსნა, ალბათ, მხოლოდ აბაშიძეს შეუძლია. ასევე, უცნობია, თბილისიდან გაქცეულმა პრეზიდენტმა თავი სომხეთს რატომ შეაფარა და არა, ვთქვათ, – ბათუმს. საერთოდ, გამსახურდია-აბაშიძის ურთიერთობაში ბევრი რამაა გაურკვეველი. სხვა თუ არაფერი, საინტერესოა, აბაშიძემ „ზვიადისტთა“ ნაწილი მაინცდამაინც გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ რატომ „შეიფარა“...

**ცნობისთვის:** ასლან აბაშიძემ კარიერა ბათუმის მუსიკალური სასწავლებლიდან დაიწყო, სადაც ინგლისურს ასწავლიდა. 46 წლის ასაკში კი სახალხო მეურნეობის დაგეგმარების ფაკულტეტი წარმატებით დაამთავრა, მაგრამ მას, როგორც დაკვირვება ცხადჰყოფს, „სახალხო მეურნეობის“ კი არა, „კლანური რეჟიმის“ დაგეგმარება უფრო ეხერხებოდა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ თავისი 13-წლიანი კარიერის განმავლობაში, 131 ხიდი ააგო და მხოლოდ ორი დაანგრია, უფრო სწორად, ააფეთქა!

**საინტერესო დეტალი:** აჭარის რევოლუციის დღეებში ხმა გავარდება, რომ „ვარდოსნები“ ასლანთან, თითქოს, ფარულ მოლაპარაკებას მართავენ და სთავაზობენ, რომ გადადგეს და მემკვიდრედ ვაჟი, გიორგი აბაშიძე დატოვოს, თუმცა წლების მერე, კობა ხაბაზი, რომელიც აჭარის რევოლუციის ერთ-ერთი ლოკომოტივი იყო, ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს და იტყვის: **„აბსურდია! ხელისუფლებას ასეთი ოფიციალური პოზიცია არ ჰქონია. თუ ვინმე საკუთარი ინიციატივით ცდილობდა გიორგის გამოყენებას, არ ვიცი“...**

## სისხლიანი რებუსი

დღე დღეს მისდევს, თვე – თვეს, წელიწადი – წელიწადს... ყვავილოვანი ხელისუფლება გიორგობას, პრაქტიკულად, დაივიწყებს და, 9 წლის განმავლობაში, 6 მაისს, ასლანის გაქცევის წლისთავებს ზარ-ზეიმით აღნიშნავს. ამასობაში, 2012 წლის 21 მაისიც დადგება და... იქ, შორეულ ჩრდილოეთში „ქილერები“ ქართველ გენერალს მოკლავენ. რა საიდუმლო წაიღო საფლავში რომან დუმბაძემ? – ეს რიტორიკული კითხვაა. არადა, ფაქტია, დუმბაძე ვიღაცისთვის, ან სულაც, ვიღაცებისთვის მიუღებელი გახდა. ეს სისხლიანი პოლიტიკური რებუსი, ალბათ, მაშინ ამოიხსნება, თუკი ოდესმე გავიგებთ, რატომ გაუცვალეს ნაციონალებმა სამშობლოს ღალატით გასამართლებული გენერალი რუსებს ქართველ სამხედრო ტყვეებში.

ამონარიდი რადიო „თავისუფლების“ სტატიიდან, რომელიც დუმბაძის მკვლელობამდე გამოქვეყნდა: **„... გაურკვეველია, როგორ იქცა აფხაზეთის ომის მონაწილე და ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გენერალი – მოღალატედ... დუმბაძე ჟურნალისტებთან საუბარს გაურბის. ცხადია, რატომაც: როცა მოღალატედ გაცხადებენ, ჟურნალისტის ყოველი შეკითხვა გამომძიებლის დაკითხვას ემსგავსება, თუმცა რადიო „თავისუფლებას“ გენერალი დუმბაძე დაუკავშირდა საკუთარი მოსაზრების დასაფიქსირებლად:**

***„როცა დაიწყეს ლაპარაკი, რომ ჯარი გაიყვანაო და ასე შემდეგ, მე დავუკავშირდი შტაბს თბილისში და ვინც მირეკავდა, ვაცნობე, რომ არავითარი ჯარის გაყვანა არ არის და ჯარი ადგილზეა-მეთქი. ჰოდა, პრეზიდენტს ვინ აძლევდა ინფორმაციას, მე არ ვიცი. საიდან ღებულობდა პრეზიდენტი ინფორმაციას, რომ მე ჯარი მყავდა გაყვანილი... მანდ ხომ არიან ის ადამიანები, რომლებმაც მიმატოვეს და წამოვიდნენ. აი, ალაპარაკონ ისინი და ვინმე თუ იტყვის, რომ მე ჯარისკაცები გავიყვანე, ვაღიარებ თავს სამშობლოს მოღალატედ, მაგრამ არავის მივცემ უფლებას, რომ მართლა სამშობლოს მოყვარული კაცი ვარ და მოღალატედ გამომაცხადონ“.***

ორ დღეში, 6 მაისია, გიორგობა... მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ოცნება“ მოვიდა, ამ დღეს აჭარის რევოლუციას, როგორც იტყვიან, ვიწრო წრეში ნაციონალები და ექსნაციონალებიღა აღნიშნავენ...

ჩრდილოეთში მოკლული გენერალი თითქმის აღარავის ახსოვს...

საზოგადოება თავს არც ასლან აბაშიძის გახსენებით იწუხებს, თუმცა ამას წინათ, ითქვა, რომ 78 წლის ასაკში, აჭარის ყოფილ „ლომს“ მესამე შვილი შეეძინა...

ასეა თუ ისე, ფაქტია: 2004 წლის 6 მაისი საქართველოს უახლესი ისტორიაა, რომელსაც ვერ დავივიწყებთ: ამ დღეს ასლანი გაიქცა...

აჭარა გათავისუფლა? – ძნელი სათქმელია, რამეთუ მოარულ ხმას თუ დავუჯერებთ, აჭარაში აბაშიძის რეჟიმი ვარშალომიძის დიქტატმა ჩაანაცვლა. ისე, სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ლევან ვარშალომიძის მამა, თავის დროზე, ასლანის „აპეკუნი“ იყო, მაგრამ... წაგებისთვის განწირულების გვერდით დგომა არავის უყვარს. ჰოდა, ვარშალომიძეებმაც, როგორც შემდგომ განვითრებულმა მოვლენებმა ნათელჰყო, ფერი უმალ იცვალეს და მართლმორწმუნე ნაციონალები გახდნენ.

ლევან ვარშალომიძე დღესაც მიშისტია...

არადა, მიშაც, ასლანისა არ იყოს, გაქცეულია.

აჭარა თავისუფალია?! – ეს მხოლოდ პოლიტიკურმა ღმერთებმა და დემონებმა უწყიან...

# ალ პაჩინო „მეფე ლირში“ ითამაშებს



პოპულარული ამერიკელი მსახიობი ალ პაჩინო, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ, 83 წელი შეუსრულდა, მონაწილეობას მიიღებს შექსპირის ტრაგედიის – „მეფე ლირის“ ეკრანიზაციაში. ამის შესახებ მსახიობმა The Hollywood Reporter-თან ინტერვიუში განაცხადა. სურათზე მუშაობა, სავარაუდოდ, 2024 წელს უნდა დაიწყოს. გარდა ფილმისა, ალ პაჩინო კიდევ სამ პროექტში მონაწილეობას და მემუარების დაწერას აპირებს. პოულარული ჰოლივუდელი აღნიშნავს, რომ 25 წლის მერე, თავს პენსიაზე გასულად მიიჩნევს, რადგან ამ ასაკიდან უკვე აღარ სურდა მუშაობა. ამის მიუხედავად, აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, არტისტი ახალ-ახალ როლებში გვევლინება. ამბობს, რომ მოსწონს გადაღებებისწინა მღელვარება.

„ეს რაღაც პრელუდიასავით არის, ვიღვიძებ დილით, ვჯდები საწოლის კიდეზე და ვფიქრობ, ნუთუ, შესაძლებელია, რომ ამ დღესაც ჩავათავებ? მერე კი თავში სხვა აზრი მომდის, ამას ხომ გუშინაც ვამბობდი, გუშინწინაც, უფრო ადრეც... და ეს შევძელი“, – ამბობს ალ პაჩინო.

# „ჭკვიან“ იარაღს გაყიდიან



ამერიკის შეერთებულ შტატებში, სახის ამომცნობი ტექნოლოგიის მქონე იარაღის გაყიდვას დაიწყებენ. „ჭკვიან“ პისტოლეტებს კოლორადოში აწარმოებენ. მათი გააქტიურება შესაძლებელია არა მხოლოდ სახის იდენტიფიკაციის მეშვეობით, არამედ, თითების ანაბეჭდების გამოყენებითაც. ამ ფუნქციების დანიშნულება ის არის, რომ იარაღი მხოლოდ ავტორიზებულმა მომხმარებელმა გამოიყენოს და ბავშვებმა ვერ შეძლონ მისი მოხმარება. იარაღის მწარმოებელი კომპანიის განცხადებით, შესაძლოა, პისტოლეტის პირველი ვერსიები უკვე ზაფხულიდან ჩაეშვას გაყიდვაში.

# კურორტზე სელფი იკრძალება



აპენინებზე, ცნობილ საკურორტო ქალაქ პორტოფინოში, ტურისტებს სელფის ხანგრძლივი გადაღების გამო დააჯარიმებენ. როგორც გამოცემა Forbes-ი წერს, აკრძალვა ამ პოპულარულ დასახლებაში მხოლოდ ორ ლოკაციას შეეხება, ჯარიმის ოდენობა კი 275 ევრო იქნება. ქალაქის ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ გზით აპირებენ ბრძოლას „ფეხით მოსიარულეთა საცობებთან“. აღსანიშნავია, რომ პორტოფინოში სულ 500-მდე ადამიანი ცხოვრობს, თუმცა ზაფხულობით (და არა მარტო), ამ პატარა ქალაქს ათასობით ტურისტი, მათ შორის, ცნობილი ადამიანები სტუმრობენ. ხანგრძლივი სელფის აკრძალვა გავრცელდება „მოცდის გარეშე“ ზონებზე – ეს ის ლოკაციებია, სადაც ტურისტების ჯგუფები საკრუიზო ლაინერების მგზავრებთან გადაიკვეთებიან ხოლმე. სელფის მოყვარული ადამიანები კი ხელს უშლიან, როგორც გამვლელებს, ასევე – სასწრაფო-სამაშველო სამსახურებს. შეზღუდვები იმოქმედებს მთელი ზაფხულის განმავლობაში – დილიდან, საღამოს 18.00 საათამდე.

# BILLBOARD-მა წლის ქალი დაასახელა



პოპულარულმა ჟურნალმა – Billboard, წლის ქალი დაასახელა. ამჯერად, მათი „პირველობის პალმა“ ცნობილ მომღერალ შაკირას ერგო. ამ ჯილდოს 46 წლის ვარსკვლავი Latin Women in Music-ის ცერემონიაზე მიიღებს. გამოცემის ისტორიაში ეს პირველი ღონისძიება იქნება, რომელიც ლათინოამერიკელ არტისტებსა და მუსიკალურ ინდუსტრიაში მათ წვლილს მიეძღვნება. საზეიმო ცერემონია კვირის ბოლოსაა დაგეგმილი. როგორც ჟურნალის წარმომადგენლები აღნიშნავენ, შაკირამ 95 მილიონი ფირფიტა გაყიდა და ყველა დროის ყველაზე პოპულარული მუსიკოსი გახდა, ასევე, ყველაზე პოპულარული ლათინოამერიკელი არტისტიცაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში მომღერალი მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში „ბარსელონას“ ფეხბურთელ ჟერარ პიკესთან დაშორების გამოც მოექცა.

# მიცვალებულებს წყალში მარხავენ





ჩინეთში აქტიურად ვითარდება ზღვის სასაფლაოების ბიზნესი. მიცვალებულის სხეულს წყლის ქვეშ, ბიოხრწნადი ურნებით უშვებენ, რადგან მიწის დეფიციტის გამო, სასაფლაოებზე ადგილები აღარ არის. სწრაფი ურბანიზაციისა და მოსახლეობის დაბერების გამო, დასაკრძალ ადგილზე ფასები ზოგჯერ 100 ათას იუანს (დაახლოებით, 15 ათასი დოლარი) აჭარბებს. 15 წელიწადში, უდიდესი მეგაპოლისის – შანხაის სასაფლაოებზე ადგილები საერთოდ აღარ იქნება, ამიტომ დაკრძალვის ალტერნატიული მეთოდების ასარჩევად, ხელისუფლებამ ხალხის წახალისება დაიწყო. 2021 წელს, ქვეყანაში კრემაციის დონემ უკვე 59% შეადგინა. ზოგიერთ რეგიონებში ფულად ჯილდოსაც კი სთავაზობენ მათ, რომლებიც ახლობლების ფერფლს ზღვაში გაფანტავენ, ან მიცვალებულის წყალქვეშ დაკრძალვას გადაწყვეტენ.

# კოქტეილი ჯეილოსგან




პოპულარულმა მომღერალმა და მსახიობმა ჯენიფერ ლოპესმა საავტორო ალკოჰოლური კოქტეილების კომპანია The House of Delola შექმნა. პრემიუმ-კლასის ორიგინალური სასმელები, რომელიც მიქსოლოგ ლინეტ მარეროსთან ერთადაა შემუშავებული, სპირტის საფუძველზე მზადდება და ნატურალური მცენარეული კომპონენტები ემატება. მაგალითად, კოქტეილი Bella Berry Spritz კენკრისგან, ჰიბისკუსისა და არყისგანაა მომზადებული, Paloma Rosa Spritz – მწიფე, წვნიანი გრეიფრუტის, ბაბუაწვერას ყვავილებისა და ტეკილასგან, L’Orange Spritz – ფორთოხლის, მარაკუიასა და ბალახეულის მწარე ლიქიორისგან მზადდება. ყოველი სასმელი შუშის ლამაზ ბოთლშია ჩამოსხმული და მზადაა რეალიზაციისთვის. ჯერჯერობით, კომპანია მხოლოდ შტატებში მუშაობს, სამომავლოდ კი ჯეილო მთელი მსოფლიოს „დაპყრობას“ გეგმავს.

# ჭრილობის შეხორცება ელექტრომეთოდით



შვედმა სწავლულებმა, ჩალმერისის უნივერსიტეტიდან, გერმანელ კოლეგებთან ერთად, ელექტროდენის საფუძველზე, ჭრილობების შეხორცების ახალი, უნიკალური მეთოდი მოიფიქრეს – მეთოდმა რეგენერაციის პროცესი სამჯერ დააჩქარა. ადამიანების უმრავლესობისთვის მცირე ჭრილობები საშიში არაა, რადგან ის თავისით, სწრაფად ხორცდება. თუმცა, არიან პაციენტები, რომლებისთვისაც, ზოგიერთი დაავადების გამო, მცირე ჭრილობაც კი საფრთხის შემცველია. პირველ რიგში, სწორედ ასეთი ადამიანებისთვისაა განკუთვნილი ახალი მეთოდი, რომელიც ელექტროსტიმულაციას იყენებს. იდეის საფუძველია ის ფაქტი, რომ ელექტროველში კანის უჯრედები განსაზღვრული მიმართულებით გადაადგილდებიან. ცოტა ხნის წინ, მკვლევარებმა დიდი გრანტიც მიიღეს, რომელსაც კვლევების გასაგრძელებლად გამოიყენებენ, სამომავლოდ კი, ჭრილობების სწრაფად შესახორცებლად შექმნიან საშუალებას, რომელიც ფართო მომხმარებელზე იქნება გათვლილი.

# ყოველი მეექვსე ზრდასრული უნაყოფოა



ასეთ შემაშფოთებელ სტატისტიკას აქვეყნებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. დღეისთვის, ჩვენს პლანეტაზე, ზრდასრული მოსახლეობის 17.5%-ს, თითქმის ყოველ მეექვსეს, შთამომავლობის ყოლა არ შეუძლია. ორგანიზაციის განცხადებით, ქვეყნების მთავრობები არასაკმარისად აფინანსებენ დამხმარე რეპროდუქტიულ ტექნოლოგიებს. ამის გამო, ღარიბი ქვეყნების მცხოვრებლებს მკურნალობისთვის მთელი საკუთარი სახსრების გაღება უწევს. „სამეცნიერო კვლევებისა და ჯანდაცვის პოლიტიკაში ამ თემამ პირველ ადგილზე უნდა გადაინაცვლოს, რაც ხელს შეუწყობს უსაფრთხო, ეფექტიან და ხელმისაწვდომ მკურნალობას“, – განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დირექტორმა, ტედროს გებრეისუსმა.

# სხვენში იმპერატორის ზარდახშა იპოვა



ერთმა ამერიკულმა ოჯახმა, საკუთარი სახლის სხვენში, ჩინეთის იმპერატორ სიუანდეს ზარდახშა იპოვა. ნივთის გაყიდვას აუქციონზე აპირებენ და მისი სავარაუდო ფასი 10 ათასი დოლარია. ზარდახშა მეორე მსოფლიო ომის მონაწილის, ედვარდ რედკლიფის ახლობლებმა იპოვეს. ეს არტეფაქტი რედკლიფს 1946 წელს, ლონდონში შეუძენია. ზარდახშის პატრონი 1967 წელს გარდაიცვალა, ეს ანტიკვარი ნივთი კი არავის გახსენებია. ზარდახშა სპილენძისგანაა დამზადებული, რომელიც ბროწეულებითა და ოქროს ტიტებითაა მოხატული. ცნობილია, რომ XV საუკუნეში, იმპერატორ სიუანდესთვის, სულ ხუთი ასეთი ზარდახშა დაამზადეს, თითოეულ მათგანზე განსაკუთრებული იეროგლიფებია დატანილი. სამი არტეფაქტი ამჟამად მუზეუმებში ინახება, ორი – კერძო პირებთან.

# ტირანოზავრის ჩონჩხი გაყიდეს



შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში, უნიკალური აუქციონი გაიმართა: გასაყიდად, ისტორიაში სულ მესამედ, ტირანოზავრის მთლიანი ჩონჩხი გამოიტანეს. დინოზავრის, სახელად ტრინიტიეს ახალი მფლობელი გახდა ანონიმი მყიდველი – „კერძო კოლექციონერი ევროპიდან", რომელმაც ამ უზარმაზარ ძვლებში 4.75 მილიონი შვეიცარიული ფრანკი (დაახლოებით, 5.3 მილიონი დოლარი) გადაიხადა. ჩონჩხის სიმაღლე 4 მეტრია, სიგრძე – 11.6 მეტრი, ყუთებში კი 293 ცალი ძვალი ჩაალაგეს. პირველად, ტირანოზავრ „სიუს" სრული ჩონჩხი 1997 წელს, 12.5 მილიონ დოლარად გაიყიდა, ხოლო მეორედ, 2020 წელს, „სტენი" მყიდველმა რეკორდულ ფასად – 47.7 მილიონ დოლარად შეიძინა.

# გამოქვაბულში რეკორდი დაამყარა



ესპანელმა სპორტსმენმა ბეატრის ფლამინიმ 500 დღე გაატარა გამოქვაბულში, 70 მეტრის სირღმეზე და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. აღსანიშნავია, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ის გარესამყაროს მოწყვეტილი იყო. ბეატრისის ექსპერიმენტი პროექტ Timecave-ის ნაწილია, რომლის მიზანია იმის დადგენა, როგორ აისახება ადამიანის ფსიქიკაზე სოციალური იზოლაცია და დროში დეზორიენტაცია. ფლამინი ალპინისტი, სპელეოლოგი და კლდეზე მცოცავია. ის სიერა-ნევადას გამოქვაბულში, 2021 წლის 20 ნოემბერს, 48 წლის ასაკში ჩავიდა. ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ესპანელმა გამოქვაბულში აღნიშნა. ბეატრისის ჯანმრთელობის მდგომარეობას სპეციალისტები ვიდეოკამერების მეშვეობით აკვირდებოდნენ. საკვებსა და წყალს მას, კონტაქტის გარეშე, გამოქვაბულში, წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე უტოვებდნენ.

# პოლიცია რობოტებთან ერთად პატრულირებს






ნიუ-იორკელმა პოლიციელებმა ქუჩების პატრულირებისთვის რობოძაღლების – Digidog გამოყენება დაიწყეს, რომელიც კომპანია Boston Dynamic-მა შექმნა. აღსანიშნავია, რომ პირველი რობოტიზებული ძაღლი-პოლიციელი მეგაპოლისში ჯერ კიდევ 2020 წელს, ქალაქის იმჟამინდელი მერის, ბილ დე ბლაზიოს ინიციატივით გამოჩნდა. ამჟამინდელი ქალაქისთავი ერიკ ადამსი აცხადებს, რომ კრიტიკოსების გამო, წინამორბედივით უარს არ იტყვის „ჭკვიან" პოლიციელზე. მისი თქმით, 32-კილგრამიან Digidog-ს რთულ სიტუაციებში, მაგალითად, მძევლად აყვანის შემთხვევებში გამოიყენებენ.

# ყველაზე მძიმე დღე სამშაბათია?



ცოტა ხნის წინ, ბრიტანელმა სწავლულებმა უარყვეს გავრცელებული მოსაზრება, რომ ყველაზე მძიმე დღე ორშაბათია. მათი თქმით, სწორედ ორშაბათ დღეს, დაახლოებით, დილის 10.00 საათზე, ადამიანების უმრავლესობა მაღალ შრომისუნარიოანობასა და ტვინის აქტიურობას ავლენს. ამას ხელს უწყობს დასვენების დღეები, რაც „გადატვირთვის“ საშუალებას იძლევა. ასეთი პიკის შემდეგ, ყურადღების კონცენტრაცია და შრომის პროდუქტიულობა თანდათან იკლებს და უკვე სამშაბათს, დღის 16.00 საათზე, ეს მაჩვენებელი მინიმუმს აღწევს. ამიტომ, სწავლულები დაბეჯითებით გვირჩევენ, ორშაბათ დილას დავგეგმოთ მნიშვნელოვანი საქმეები, რაც ყურადღებასა და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. სამშაბათის მეორე ნახევარი კი, შეგვიძლია სამართლიანად მივიჩნიოთ სამუშაო კვირის ყველაზე მძიმე პერიოდად. თუმცა, თუ კვირის ყველა დღე მაინც მძიმე და დაძაბული გელით, შეგიძლიათ, საკუთარი ტვინის გააქტიურება სცადოთ.

სპეციალისტებმა რამდენიმე პუნქტიც კი გამოყვეს, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება მნიშვნელოვნად გავააქტიუროთ ტვინის მუშაობა. პირველ რიგში, ტვინს კოფეინი და ტეანინი ესაჭიროება. ეს ნივთიერებები მის სტიმულირებას ახდენენ, ხელს უწყობენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრების პროცესს. თუმცა, თუ დღის განმავლობაში რამდენიმე ფინჯან ყავას მიირთმევთ, შესაძლოა, ამით ნერვოზულობა და შფოთიანობა მოიმატოთ და არასასურველი ეფექტი მიიღოთ. ტეანინი – ესაა ამინომჟავა, რომელიც ამცირებს ფორიაქის შეგრძნებას. ამიტომ, ოპტიმალური „საოფისე“ სასმელი მწვანე ან შავი ჩაი გახლავთ, რომელშიც კოფეინისა და ტეანინის ადამიანისთვის ოპტიმალური კომბინაციაა.

# სიცოცხლის ხანგრძლივობას დადგენენ



სპეციალისტებმა დიდი ბრიტანეთიდან, ისეთი მოწყობილობის შექმნა შეძლეს, რომელიც ადამიანის დარჩენილი ცხოვრების დროს განსაზღვრავს. გარეგნულად ის მაჯის საათს მოგაგონებთ, გამოგონება კი ლაზერულ ტექნოლოგიებს ეფუძნება. ამ შემთხვევაში, კანის ზედაპირის საშუალებით, ადამიანის ორგანიზმის ენდოთელიალური უჯრედების მდგომარეობის მონიტორინგი ხდება. ამ ტიპის უჯრედები მონაწილეობენ სისხლძარღვთა სისტემის ფორმირებაში. მოწყობილობა საშუალებას იძლევა, უჯრედების ნაკადი შეცვალოს და მიღებული მონაცემების ანალიზით, ადამიანის დაბერების პროცესის სიჩქარე გამოთვალოს. მიღებული მაჩვენებლები კი ასბალიანი შკალის მიხედვით ფასდება. ასი ქულით ფასდება ახალგაზრდა, ნორმალურად ფუნქციონირებადი ორგანიზმი, რომელსაც სამედიცინო ჩარევა არ სჭირდება. სპეციალისტები ნისლიანი ალბიონიდან, აღნიშნავენ, რომ სამ წელიწადში, პრაქტიკული მიზნით მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელი იქნება სამედიცინო დაწესებულებებში.

# ხელოვნური ტვინი გამოზარდეს



ბრიტანელმა ნევროლოგებმა ადამიანის ტვინი კანის უჯრედებისგან გამოზარდეს. სამეცნიერო კვლევები კემბრიჯის ლაბორატორიაში მიმდინარეობდა. ამ ურთულესი ექსპერიმენტის ავტორი ნეირობიოლოგი მედლინ ლანკასტერია. ტვინი უამრავი რაოდენობის ნეირონებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სინაპსებით ანუ არსებობს ურთულესი ნეირონული ქსელი, რომლის თეორიული შესწავლა შესაძლებელია. პრაქტიკული ცდებისთვის ლანკასტერმა მიკროსკოპული ტვინი გამოიყვანა. წარმატების მისაღწევად მან კანის ნიმუშებისგან აღებული ღეროვანი უჯრედები გამოიყენა, რაც გარკვეული ვიტამინებითა და საკვები ნივთიერებებით დაამუშავა, შემდეგ კი მასალა ბიოგელში მოათავსა გამოსაზრდელად. მართალია, ნეირობიოლოგის მიერ მიღებულ ტვინს არ აქვს შეგრძნებებისა და გრძნობების უნარი, თუმცა მიღებული მოდელი მეცნიერებას დაეხმარება, გულდასმით გაერკვნენ ისეთ პრობლემებში, როგორებიცაა შიზოფრენია, აუტიზმი და სხვა ნევროზული აშლილობები.

# პომიდორი წნევის სამკურნალოდ?




ამომავალი მზის ქვეყანაში, გაყიდვაშია პომიდორი, შესწორებული გენომით – მასში ხუთჯერ მეტი გამა-ამინომჟავებია, რომელიც არტერიულ წნევას აქვეითებს და გულის რიტმს ანელებს. ამგვარად, ახალი პომიდორი ადამიანებს წნევის დარეგულირებაში უნდა დაეხმაროს. ახალ ჯიშს Sicilian Rouge High GABA უწოდეს და კუმამოტოს პრეფექტურაში მოჰყავთ. აღსანიშნავია, რომ პომიდორი შესწორებული გენომით – ეს პირველი პროდუქტია იაპონიის ბაზარზე. გენმოდიციფირებული ბოსტნეულისგან ის იმით განსხვავდება, რომ მის დნმ-ში არ არის ხელოვნური გენი. პომიდორი CRISPR/Cas-ის ტექნოლოგიის დახმარებით გამოიყვანეს.

# ჰერპესს მალე დაამარცხებენ



ექსპერტთა განცხადებით, გასულ წელს, მედიცინისა და ფარმაკოლოგიის სფეროში მიღწეულ რევოლუციურ აღმოჩენებს შორის, ერთ-ერთი აღსანიშნავი ჰერპესის სამკურნალო ახალი პრეპარატის შექმნაა. ილინოისის უნივერსიტეტის სწავლულებმა შექმნეს დაბალმოლეკულური ნივთიერება BX795, რომელიც ადამიანის თვალის რქოვანას უჯრედებში სრულად ანადგურებს მარტივი ჰერპესის ვირუსს. ამ ტიპის ვირუსი უპირველესად აზიანებს თვალისა და პირის ღრუს ლორწოვან გარსებს, თუმცა მას გენიტალიების დაზიანებაც შეუძლია. ახალი პრეპარატი დიდი იმედია ჰერპესინფექციით დაავადებულთათვის. დღეისთვის, ამ ტიპის ვირუსის სრული ელიმინაცია შეუძლებელია. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ახალი პრეპარატი მაქსიმალურ შედეგს გამოიღებს.

# გულის პრობლემები თმის ცვენას იწვევს



იაპონელი მეცნიერების აზრით, მამაკაცებს, რომლებიც მელოტდებიან, გულის პრობლემები არამელოტებზე ხშირად აწუხებთ. 37 ათასი ადამიანის გამოკვლევების შედეგად, სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ თმაგაცვენილი მამაკაცების 32%-ზე მეტს გულის იშემიური დაავადებები აღენიშნებოდა. ბრიტანული ორგანიზაცია „გულის ფონდის“ წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მამაკაცებმა ყურადღება არა თმას, არამედ, წელის ზომას უნდა მიაქციონ. ძლიერი სქესის ნახევარს თმა 50 წლის ასაკში უთხელდება, 70 წლისას კი სრული ცვენა ეწყება. ტოკიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა თმის ცვენა გულის დაავადებებს დაუკავშირეს. მათი თქმით, თავის შიდა ნაწილში, ეგრეთ წოდებულ გვირგვინზე შეთხელება, სწორედ გულის კორონარულ დაავადებებთან ასოცირდება. თუმცა, ეს საბოლოოდ დადასტურებული არ არის. ზუსტი მიზეზის დადგენამდე, უმჯობესია, მამაკაცმა თმის ეს ნაწილი გააკონტროლოს, რაც ნიშნავს, რომ გულსისხლძარღვა დავადებების განვითარების რისკების შესამცირებლად, ყურადღება გაამახვილოს დიეტებსა და ფიზიკურ დატვირთვაზე.

# რას იწვევს ძილის ნაკლებობა?



თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას ძილის ნაკლებობა წარმოადგენს. ჯერ კიდევ 1942 წელს, ჩვეულებრივ, რიგით ადამიანს დღე-ღამეში, საშუალოდ, რვა საათი ეძინა, დღეს კი, განვითარებულ მსოფლიოში, ეს მაჩვენებელი ექვს-რვა საათამდე შემცირდა. არადა, მედიკოსების მიერ რეკომენდებულია შვიდი-ცხრა საათი ძილი. ჩატარებული გამოკითხვებით აღმოჩნდა, რომ ამერიკელთა 40%-ს შვიდ საათზე ნაკლები სძინავს, ხოლო დაახლოებით 70 მილიონ ამერიკელს ძილის დარღვევები სტანჯავს. თითქმის ყველა ადამიანმა იცის, რამდენად მნიშვნელოვანია კარგად გამოძინება, მაგრამ ალბათ, ცოტა თუ ხვდება, რა ნეგატიურ შედეგებს იწვევს არასაკმარისი ძილი. ერთ-ერთი რისკი, რასაც უძილობა იწვევს, გაღიზიანებადობაა. როგორ ებრაელმა სწავლულებმა დაადგინეს, გამოუძინებლობის შემთხვევაში ირღვევა ადამიანის ემოციური სტაბილურობა, რასაც ის გაღიზიანებამდე მიჰყავს. ასეთ დროს კი ძალიან ძნელია, რამე საქმის ბოლომდე მიყვანა, ან საერთოდ, რამის კეთება.

ნაკლები ძილი თავის ტკივილსაც იწვევს – მართალია, მეცნიერებმა ჯერ არ იციან, რით უკავშირდება ძილის დარღვევები თავის ტკივილს, მაგრამ მედიკოსებმა ეს კავშირი უკვე საუკუნეზე მეტია, დაადგინეს. უძილო ღამეებმა, შესაძლოა, ადამიანი გამუდმებულ თავის ტკივილებამდე მიიყვანოს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ არასაკმარისი ძილის დროს, საგრძნობლად ეცემა ხანმოკლე მეხსიერების ფუნქციონირება, რის გამოც ადამიანს უჭირს ახალი მასალის ათვისება. ნაკლები ძილი წონასთანაცაა კავშირში – ძილის უკმარისობა იწვევს წონაში მატებას და აძლიერებს შიმშილის გრძნობას. უძილობაც ერთგვარი სტრესია, რომელიც არღვევს ჰორმონალურ ბალანსს, აიძულებს ორგანიზმს, წარმოქმნას მცირე რაოდენობით ლეპტინი (ჰორმონი, რომელიც დანაყრებაზეა პასუხისმგებელი) და გაცილებით დიდი რაოდენობით გრელინი (ჰორმონი, რომელიც შიმშილის გრძნობას აკონტროლებს). შედეგად, ადამიანს სულ შია.

მკვლევარებმა ექსპერიენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც მონაწილეებს 88 საათის განმავლობაში დაძინების საშუალება არ მისცეს. შედეგად, მათ წნევა აეწიათ, რაც დიდ სიურპრიზს არ წარმოადგენდა. თუმცა, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ისინი, რომლებსაც საკმარისად არ სძინავთ, ან ძილის დროს ხშირად ილვიძებენ და შფოთავენ, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი გულსისხლძარღვთა დაავადებებისკენ. ცნობილია, რომ ერთი უძილო ღამეც კი ადამიანის ორგანიზმს რისკქვეშ აყენებს და იმუნური სისტემის დასუსტებას უწყობს ხელს. ეს კი ინფექციების მიმართ მდგრადობას აქვეითებს.

თუკი ფიქრობთ, რომ ხშირად ცივდებით, მაშინაც კი, როცა მთელ დღეებს თბილ ოფისში ატარებთ, პასუხი – არასაკმარისი ძილია. სწავლულებმა გამოკლვევა ჩაატარეს, რომელშიც 153 ადამიანი მონაწილეობდა. Eქსპერიმენტისას, მათ ერთ ნაწილს დღე-ღამეში რვა საათი ან უფრო მეტი ეძინა, მეორე ნაწილს კი – შვიდ საათზე ნაკლები. ამის შემდეგ ისინი ერთნაირად, ცივ ტემპერატურაზე ამყოფეს. ცდებმა აჩვენა, რომ მათ, რომლებსაც ძილის უკმარისობა აწუხებდათ, სამჯერ უფრო ხშირად ხდებოდნენ ავად, ვიდრე მათ, რომლებსაც სრულფასოვნად ეძინათ. სწავლულბი ამბობენ, რომ შესაძლოა, უძილობა დიაბეტის გამოწვევის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდეს, რადგან ამ დროს ირღვევა მეტაბოლიზმის პროცესი. საერთოდაც, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა პირდაპირკავშირშია ძილთან, მაგრამ აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იკვეთება: ადამიანებს შორის, რომელთაც დღე-ღამეში შვიდ-რვა საათზე ნაკლებხანს სძინავთ, უფრო მაღალია ნაადრევი სიკვდილის რისკი.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.